საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ფაქიზებით და ჭირვებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 17 აგვისტო. 2016 წ. №152 (8044), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ერი, რომელიც საკუთარი არსებობისა და უსაფრთხოების სტრატეგიას სხვა ქვეყნების დახმარებაზე ამყარებს, უსათუოდ დაიღუპება

③

გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსი ვასილ რუხაძე

ვახტანგ ყოლბაია: ქართველებისადმი აფხაზების დამოკიდებულება სასიკეთოდ იცვლება

④

ხუთშაბათს, ტელევიზია „ქართული ტვ“-ით, პარასკევს – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“

„მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფი“ აგრძელებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული პროგრამული დოკუმენტების შესაბამის მოქმედებებს.

ხუთშაბათს, 18 აგვისტოს, ტელეკომპანია „ქართული ტვ“-ის პირდაპირი ეთერით, 17 საათზე, ხოლო პარასკევს, 19 აგვისტოს, ფერიცვალებას, „საქართველოს რესპუბლიკაში“ დავიწყებთ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან დათათბირებით შერჩეული ადამიანების სიების გამოქვეყნებას. ამ პროცესში ყველას შეუძლია მონაწილეობის მიღება.

საქართველოს რესპუბლიკა
1121.12 აგვისტო
2016.12 აგვისტო
„ქალები საქვეყნოდ“
მეცნიერება სანიტიპატიური ჯგუფის დიდი შეხვედრები
ეს ვაყმარჯოს ერთია დადგომია ყველა წავეპყლ ომის მოგებას...
ერეკლეს და პოლიტიკური ტატიზმი „ერეკლეს ოპოზიციის პარლამენტის“ შესახებ
ეროვნული ბანკი ეროვნული ფასი
„ეროვნული ბანკი“ ეროვნული ფასი
ეროვნული ბანკი ეროვნული ფასი
ეროვნული ბანკი ეროვნული ფასი
ეროვნული ბანკი

გიორგი კვირიკაშვილი:

სიყვარულით და თავდადებით ქართველ ხალხს გავახარებთ!

თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას წარმოთქმული სიტყვა

დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისა და მხარდაჭერისთვის. ჩვენ, ყველამ ერთად, მნიშვნელოვანი პერიოდი გამოვიარეთ. გამოვიარეთ პერიოდი, როდესაც ადამიანის ღირსებას არარად აგდებდნენ და როდესაც ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლებები იყო ფეხქვეშ გათელილი. ქართველმა ხალხმა იბრძოლა ამის წინააღმდეგ და ეს ბრძოლა გრძელდებოდა წლების განმავლობაში. როდესაც ქართველი ხალხი დაიქანცა ამ ბრძოლაში, 2011 წლის შემოდგომაზე, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა გადაწყვეტილება პოლიტიკური პარტიის შექმნის თაობაზე და კიდევ ერთხელ შეეხიდა ქართველ ხალხს. ამ ბრძოლაში, როდესაც ქართველი საზოგადოება ეუბნებოდა არას ძალადობას, ეუბნებოდა არას ქართული ფასეულობების ფეხქვეშ გათელვას, ყოველთვის, ყველაზე ხმამაღლა ისმოდა თბილისის ხმა და სწორედ თბილისზე გადიოდა ბრძოლის ფრონტი და წინა ხაზი. სწორედ ამიტომ, ჩემთვის განსაკუთრებული პატივია წარვსდგე დღეს თბილისის წინაშე, როგორც იმ პოლიტიკური ძალის ლიდერი, რომელმაც გარდატეხა შეიტანა საქართველოს განვითარებაში. ეს გარდატეხა სწორედ იმ დროს მოგვევლინა, როდესაც, თითქოსდა, იმედი იყო გამქრალი და რაღაც განსაკუთრებული უნდა მომხდარიყო, რათა გადარჩენის გზა გამოჩენილიყო.

სწორედ ამიტომ, დღეს ჩვენ შეგვიძლია ამაყად შევხედოთ ჩვენს თბილისელებს თვალებში და ვთქვათ, რომ გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ჩვენი მოქალაქეებისთვის მიგვეცა ყველაზე მთავარი – მიგვეცა თავისუფლება, თავისუფლად სუნთქვის ბედნიერება, თავისუფლად საუბრის უფლება, ჩვენი, თუნდაც ყველაზე კრიტიკული აზრის, თავისუფლად გამოხატვის უფლება და ეს მეგობრებო, ძალიან დიდი მონაპოვარია.

გასული ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით ის, რომ ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს მივხედეთ. ეს არის ჩვენი მოქალაქეების ჯანდაცვის უფლება, ჯანმრთელობის უზრუნველყოფის უფლება. მარტო C ჰეპატიტის პროგრამით ათასობით სიცოცხლე გადარჩა და ათასობით ოჯახი გადარჩა გაღატაკებას. ალბათ ყველა ჩვენგანს უსარგებლია საყოველთაო ჯანდაცვის სერვისით და დამეთანხმებით, რომ ეს არის ფუფუნება, რომელიც ბევრ განვითარებულ ქვეყანასაც კი არა აქვს.

არასოდეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში არ მიქცევია იმ დონის ყურადღება სოფლის მეურნეობას და ადგილობრივი მეწარმეობის განვითარებას, როგორც ეს ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხდებოდა. სოფლის მეურნეობის დახმარების პროგრამა, შეღავათიანი აგროკრედიტები, მრავალწლიანი კულტურების გაშენების პროგრამა „დანერგე მომავალი“, მიკროდაფინანსების პროგრამა და მიკროგრანტების პროგრამა, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, – ყველა ეს პროგრამა შვებად მოევლინა ჩვენს მოსახლეობას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არის გამიზნული იმისათვის, რომ საქართველომ ააღორძინოს ადგილობრივი წარმოება; ააღორძინოს საწარმოო პოტენციალი, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაში, ვინაიდან, ჩვენი მოსახლეობის ნახევარი ჯერ კიდევ არის ჩართული სოფლის მეურნეობაში და ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

სულ ცოტა ხნის წინათ, აქედან სულ რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, გაიხსნა პირველი ტექნოპარკი საქართველოში, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველად დამწყები ბიზნესის დაფინანსების ფონდი დაფუძნდა, რომელიც არის სპეციალურად განკუთვნილი ახალგაზრდების ინოვატორული იდეების დასაფინანსებლად. ესეც ძალიან დიდი მიღწევაა.

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯები ქვეყანაში პროფესიული განათლების საჯარო კერძო პარტნიორობის მოდელის შესაქმნელად. ესეც დიდი მიღწევაა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემო მეგობრებო, ჩვენ არ ვართ თვითკმაყოფილნი. ჩვენ ვხედავთ, რამხელა რესურსი არსებობს ქვეყანაში განვითარებისთვის. ჩვენ არ ვართ არც უშეცდომონი, მაგრამ ერთი რამ შეგვიძლია გითხრათ: არცერთი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, არ ყოფილა ისე, რომ ქვეყნის სიყვარულით არ ყოფილიყოს ნაკარნახევი. ეს არის ჩვენი მთავარი საამაყო და ჩვენ ასე ვაპირებთ გაგრძელებას მომავალი ოთხი წლის განმავლობაში.

არასოდეს ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ ისეთი დარწმუნებული, როგორც ახლა ვარ, თუ რამდენად სწორია ჩვენი ქვეყნისთვის, რომ სწორედ ამ პოლიტიკურ ძალას უნდა დაუჭიროს მხარი ჩვენმა მოსახლეობამ. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს ყველაზე კვალიფიციური გუნდი, ჩვენ გვყავს გამოცდილი გუნდი, ქვეყნის სიყვარულით ანთებული ადამიანებისგან შემდგარი გუნდი. ეს არის გუნდი, რომელიც შედგება ძველი თანამებრძოლებისგან და ასევე მრავლად არიან ახალი წევრები. ეს არის სწორედ ის სიმფონია, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააერთიანებს, ჩვენს საზოგადოებას გააერთიანებს.

თბილისის საზოგადოებამ იწვნია საკუთარ თავზე „ჩარეცხილად“ კვალიფიცირება და ეს აღარასოდეს აღარ უნდა განმეორდეს ჩვენს ისტორიაში. ჩვენ არცერთი ადამიანი არა გვყავს დასაკარგი. ყველას, ვისაც გული აქვს ანთებული ქვეყნის სიყვარულით და ვისაც გააჩნია უნარი, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიტანოს პროგრესი, განვითარება, ყველასთვის იქნება ადგილი ჩვენს გვერდით. მხოლოდ და მხოლოდ ასე, საზოგადოების გაერთიანებით, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით და არა სიძულვილით, შევძლებთ ჩვენ, „ქართული ოცნება“, რომ დღეიდან ოთხი წლის თავზე, ყველა ოჯახმა იგრძნოს საკუთარ თავზე კეთილდღეობა. მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების ერთიანობით, მხოლოდ და მხოლოდ ერთმანეთის განსხვავებული აზრის შეგუებით, შეიძლება დამშვიდება საზოგადოების და ქვეყანაში პროგრესის უზრუნველყოფა.

სწორედ ამიტომ, ჩემო მეგობრებო, მე მინდა წარმოგიდგინოთ ის გუნდი, რომელიც ყველაზე ახლოს არის თბილისის სიხარულთან, თბილისის ტკივილთან და რომელიც, მე ვფიქრობ, ყველაზე ღირსეულად შეძლებს თბილისელების ინტერესის დაცვას საქართველოს უმაღლეს წამომადგენლობით ინსტიტუციაში – საქართველოს პარლამენტში.

ამ სიტყვის შემდეგ პრემიერმა თბილისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა, ბოლოს კი ერთმანიშვნელოვნად დასძინა:

ჩემო საყვარელო თბილისელებო, კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო უდიდესი პატივისცემა თქვენს წინაშე, მინდა, ქედი მოვიხარო თბილისის გმირობის წინაშე და მინდა, კიდევ ერთხელ გთხოვოთ კონსოლიდაცია, გაერთიანება საქართველოს უკეთესი მომავლისთვის. მე მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის ძალა, რომელიც შეძლებს ჩატეხილი ხიდის აღდგენას ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის. მე მჯერა, რომ „ქართული ოცნება“ არის ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მხოლოდ სიყვარულით და თავდადებით ემსახურება საკუთარ ხალხს. ნამდვილად არ არის ფუფუნება ამ ადგილზე დგომა და ამ მოვალეობაში ყოფნა. ეს მხოლოდ და მხოლოდ დიდი პატივი და დიდი პასუხისმგებლობაა ქვეყნისა და თითოეული ჩვენი მოქალაქის წინაშე.

ჩვენ ვართ ის გუნდი, რომელსაც მკაფიოდ, კონკრეტულად და ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმა გვაქვს როგორც არჩევნებამდე, ასევე არჩევნების მეორე დღიდან დაწყებული, თუ როგორ ჩავაბაროთ ჩვენს ქვეყანას ოთხი წლისთავზე უკეთესი, უფრო სიყვარულით აღსავსე საქართველო!

დიდი მადლობა ამ მხარდაჭერისთვის, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არ გაგიმტყუნოთ იმედები.

* * *

პრემიერის ამ მოკლე გამოსვლაში კიდევ ერთხელ იკითხება „ქართული ოცნების“ მთავარი მიზანი – ქართველი ხალხის გაერთიანება, თავისუფლებისა და დემოკრატიის განმტკიცება, ცხოვრების დონის ამაღლება, თითოეულ ადამიანზე, თითოეულ ოჯახზე ზრუნვა, საქართველოს გამთლიანება და აღორძინება.

აშკარაა, რომ თითოეულმა თბილისელმა ამომრჩეველმა მხოლოდ „ოცნების“ კანდიდატებს უნდა მისცეს ხმა!

გოგა ხაინდრავა:

ლევან ბერძენიშვილმა პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი უნდა დაანებოს და პენსიაზე გავიდეს

კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა „რესპუბლიკელ“ ლევან ბერძენიშვილს პასუხობს.

„ალბათ, მან პოლიტიკას თავი უნდა დაანებოს, რადგან როდესაც თანამებრძოლებს, იმ ადამიანს, რომელთან ერთადაც უმძიმესი დღეები გადაიტანა, ვის პოლიტპატიმრობასაც ხმა მისცა, ბანდიტებს უწოდებს მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკური პაექრობა მოუწევთ. აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დამთავრდა და პენსიაზე უნდა გავიდეს. უნდა იფიქროს იმაზე, რომ უფრო საღი გონების ადამიანებს დაუთმოს გზა. ლევან გოგიჩაიშვილი არის კაცი, რომელმაც მათთან ერთად უმძიმესი დღეები გადაიტანა. სირცხვილია, რომ ახალგაზრდა კაცს ბანდიტი უწოდო მხოლოდ იმიტომ, რომ მან პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება გადაწყვიტა. სრულიად გაუგებარი განცხადებაა და თუ ის საკუთარ პოლიტიკურ კარიერას პატივს სცემს, ამ საქმიანობას თავი უნდა დაანებოს“, – განაცხადა ხაინდრავამ.

მისივე თქმით, თუ ვინმე ქართულ სინამდვილეში, პოლიტიკურ ბატალიებში გამოცდილი ადამიანია, ეს არის ლევან გოგიჩაიშვილი. ხაინდრავა მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან გოგიჩაიშვილი „რესპუბლიკელ“ დავით უსუფაშვილს დაამარცხებს.

„თუ ის არ იქნებოდა უსუფაშვილის მოწინააღმდეგე, იქნებოდა თინა ხიდაშელის ან რომელიმე „რესპუბლიკელის“. რით განსხვავდება უსუფაშვილი სხვა „რესპუბლიკელებისგან“. დაამტკიცოს მან პოზიტიურობა, მოიგოს არჩევნები. შეეშინდათ გოგიჩაიშვილის? – უნდა შეეშინდეთ. დარწმუნებული ვარ, მოუგებს უსუფაშვილს. ლევან ბერძენიშვილმა კი, გამონათქვამები უნდა შეარჩიოს“, – განაცხადა ხაინდრავამ.

ცნობისთვის, საბურთალოს ოლქში, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს ლევან გოგიჩაიშვილს „რესპუბლიკელი“ დავით უსუფაშვილი დაუპირისპირდება.

„დავით უსუფაშვილს დაუყენეს ლევან გოგიჩაიშვილი – რადგან ბანდიტი იყო და ციხეში ნაჯდომია, კარგი ვაჟკაცი იქნება? ვერ გავიგე რა მიდგომაა პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ“, – განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.



თამაზ მეჭიაური: „ქართული ოცნება“, „რესპუბლიკელები“ და „ნაცებიც“ უნდა მოიხსნან რეგისტრაციიდან

კლიპის და რუსული ჯარის გამო, „ქართული ოცნება“, „რესპუბლიკელები“ და „ნაცებიც“ უნდა მოიხსნან რეგისტრაციიდან, ისინი ნატოს ჯარის ყოფნაზე არიან ორიენტირებული, – განუცხადა ჟურნალისტებს თამაზ მეჭიაურმა ცესკოს მიერ „ცენტრისტების“ საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას.

„არ მინდა ეჭვი შევიტანო ცესკოს გადაწყვეტილების სამართლიანობაში, თუმცა, როდესაც ასე ემთხვევა პოლიტიკური განცხადებები და სამართლებრივი გადაწყვეტილება, ცხადია, ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას გაუჩნდება ეჭვი, ხომ არ შეიძლება ეს ყველაფერი თანხვედრაში იყოს.

– კლიპის გამო და რუსული ჯარის გამო, „ქართული ოცნება“, „რესპუბლიკელები“ და „ნაცებიც“ უნდა მოიხსნან რეგისტრაციიდან, ისინი ნატოს ჯარის ყოფნაზე არიან ორიენტირებულები. არც ერთი ჯარი არ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაზე, ამ ჭკუაზე ვარ, არც რუსული და არც ამერიკული. ახლა იმის გამო, რომ ერთს ერთი ქვეყნის ჯარი მოსწონს და მეორეს მეორე, ყველა ჯარი ოკუპანტია“, – განაცხადა მეჭიაურმა.

ერი, რომელიც საკუთარი არსებობისა და უსაფრთხოების სტრატეგიას სხვა ქვეყნების დახმარებაზე ამყარებს, უსათუოდ დაიღუპება

გვესაუბრება პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ჯეიმსთაუნის ფონდის ანალიტიკოსი ვასილ რუხაძე

— სულ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ქვეყნის ე.წ. უბლოკო სტატუსთან დაკავშირებულმა ინიციატივამ გაიჟღერა. როგორ შეაფასებდით ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევას? რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ არსებულ ვითარებაში საქართველოს ნეიტრალიტეტი? პირადად თქვენ თუ მიემხრობოდით ამ იდეას?

— დღეისთვის საქართველოს ნეიტრალიტეტის საკითხის ინიცირება უკეთეს შემთხვევაში — პოლიტიკური გაუნათლებლობის, უარეს შემთხვევაში კი პირდაპირი პოლიტიკური საბოტაჟის ნიშანია. თანამდეროვე მსოფლიოში ნეიტრალური ქვეყნების კლასიკურ მაგალითს ფინეთი (1956-1995 წლებში) და შვეიცარია (დღემდე) წარმოადგენენ. თუმცა ჩვენში ნეიტრალიტეტის მომხრეებს ავიწყდებათ, რომ ფინეთმა ნეიტრალიტეტი საბჭოთა კავშირთან 1939 წლიდან უმძიმესი ომების შედეგად მოიპოვა, რომელშიც ათეულ ათასობით ფინელი დაიღუპა. საბჭოთა კავშირი ფინეთის ნეიტრალიტეტს (ისტორიაში ცნობილია „ფინლანდიზაციის“ სახელით) მხოლოდ მას შემდეგ დასთანხმდა, რაც ფინელმა ხალხმა საბჭოთა იმპერიას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია და საბჭოთა რეჟიმი დარწმუნდა, რომ ფინეთის მთლიანად დაპყრობა მხოლოდ უდიდესი დანაკარგების ფასად მოუწევდა. ამით ისტორია იმას გვიჩვენებს, რომ ნეიტრალიტეტს მოპოვება სჭირდება, რაც ხშირად დიდი ადამიანური და მატერიალური მსხვერპლის გაღებას მოითხოვს.

მაგრამ ნეიტრალიტეტის მხოლოდ მოპოვება საკმარისი არ არის. მას შენარჩუნება სჭირდება, რასაც უცილობლად ნეიტრალური ქვეყნის სამხედრო ძალა უნდა უმაგრებდეს ზურგს. ფინეთმა საკუთარი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება არა საბჭოთა კავშირის კეთილი ნების, არამედ საკუთარი სამხედრო პოტენციალის შედეგად შეძლო, რადგან საბჭოთა იმპერიას ყოველთვის კარგად ახსოვდა, რომ ფინეთთან ომი არცთუ ადვილი გახლდათ.

ასევე შვეიცარიამ, 1815 წლიდან, საკუთარი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება არა მის ირგვლივ არსებული დიდი ევროპული იმპერიების კეთილი ნების, არამედ საკუთარი სამხედრო პოტენციალის შედეგად შეძლო. შვეიცარიის ირგვლივ ყველა ევროპულ იმპერიას ნათლად ესმოდა, რომ მთიან, კბილებამდე შეიარაღებულ, მამაც შვეიცარიასთან ომი და მისი დაპყრობის მცდელობა აგრესორისთვის უდიდეს დანაკარგებთან და შესაძლო სამხედო კრახთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ თვით ჰიტლერულმა გერმანიამაც კი მისი სამხედრო ძლიერების მწვერვალზე უარი თქვა შვეიცარიის ინტერვენციაზე.

საქართველომ ნეიტრალიტეტი რომც გამოაცხადოს, ის ფიქციად დარჩება, რადგან მას ზურგს არავითარი ძალა არ უმაგრებს. საქართველოს სამხედრო თავდაცვისუნარიანობა დღეს თითქმის ნულის ტოლია. ამიტომ ნებისმიერი დიდი სახელმწიფო საქართველოს ფიქციურ ნეიტრალიტეტს პირველი შესაძლებლობისთანავე ადვილად დაარღვევს. აქედან გამომდინარე, საქართველოს ამგვარი სისუსტის პირობებში ნეიტრალიტეტი მხოლოდ აგრესორს, ამ შემთხვევაში კი რუსეთს აძლევს ხელს, რომელიც ჩვენს ნეიტრალიტეტს ქვეყნის საერთაშორისო იზოლაციისა და შემდგომი მანიპულაციისთვის გამოიყენებს.

— უცხოელი ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ამერიკის დღის წესრიგში კავკასიის და მათ შორის საქართველოს საკითხი პირველ პლანზე აღარ დგას. ხშირად საქართველოს ხელისუფლების მიმართ გაისმოდა ბრალდებები საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის „რადარებიდან გაქრობის“ თაობაზე. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას, მართლაც გამქრალია თუ არა საქართველო საერთაშორისო რადარებიდან და თუ კი, რა მიზეზებით არის ეს გამოწვეული?

— უკვე მრავალი წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვცხოვრობ და ვმოღვაწეობ, როგორც პოლიტიკური მეცნიერი. შესაბამისად, ამერიკულ პოლიტიკურ სისტემას კარგად ვიცნობ. ამასთანავე, პირადად შევხვედრივარ და მისაუბრია არაერთ ამერიკელ პოლიტიკურ მეცნიერთან და ინტელექტუალთან, რომლებიც ამერიკის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე გარკვეულ გავლენას ახდენენ. აქედან გამომდინარე, შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით განგიცხადოთ, რომ კავკასია და საკუთრივ საქართველო ამერიკის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ პლანზე არასოდეს მდგარა. ამგვარ ილუზიას 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე საქართველოს ფსევდოელიტები ქმნიდნენ, რომლებიც საქართველოზე ამერიკის ყურადღებასა და მხარდაჭერაზე სპეკულაციით საკუთარი სუსტი შიდა პოლიტიკური ლეგიტიმურობის გამყარებას ცდილობდნენ.

შესაბამისად, შეუძლებელია, მეორე პლანზე გადაენაცვლა იმას, რაც პირველ პლანზე არასოდეს მდგარა. საუბედუროდ, საქართველოს ფსევდოელიტები დაავადებულები არიან ეროვნული არასრულფასოვნების მძაფრი კომპლექსით და ამ სენით ქართული საზოგადოების დიდი ნაწილიც დააავადეს. საქართველოს პოლიტიკურ ფსევდოელიტებს, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც, არ სჯერათ, რომ საქართველომ თავისით რაიმე შეიძლება, შეძლოს. რა თქმა უნდა, პატარა ქვეყნისთვის დიდი სახელმწიფოების, განსაკუთრებით აშშ-ის მსგავსი ზესახელმწიფოს მხარდაჭერა სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ამაზე არავინ დავობს. მაგრამ შეუძლებელია, სახელმწიფომ და ერმა მისი ყოველი ნაბიჯი იმით განსაზღვროს, რამდენად არის იგი დიდი ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის პირველ პლანზე. ეს არის დამანგრეველი ჩვევა და სტრატეგია, რომელიც ქვეყანას არასოდეს მისცემს საშუალებას, საკუთარი არსებობის შენარჩუნებისთვის რაიმე ქმედითი და ღირებული გააკეთოს.

სამწუხარო პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომლის საგარეო პოლიტიკის პირველ პლანზე დღეს საქართველო და მთლიანად კავკასია (უკრაინასთან ერთად) დგანან, რევანშისტული რუსეთია. პუტინისტური რუსეთის იმპერიული ამბიციების განხორციელებისთვის საქართველოს აბსოლუტურად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. როგორც ჩანს, საქართველოს ფსევდოელიტები დღეს ვერც ამას ხედავენ ნათლად.

— როგორ უნდა იმოქმედოს ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ? განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ ქვეყანაში რუსული პროპაგანდაა მომძლავრებული, ხოლო სამეზობლოში მიმდინარეობს პროცესები, (რუსეთი თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი) რომელმაც შესაძლოა, პოლიტიკური მიწისძვრა გამოიწვიოს.

— საქართველოს ირგვლივ გეოპოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად არასტაბილურია. საქართველო ახლო აღმოსავლეთის რეგიონში უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უაღრესად საშიში ცვლილებების მოწმე ხდება და ამ ცვლილებებს ძალზედ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ, რამდენადაც ჩვენ ამ რეგიონს ვესაზღვრებით და უფრო მეტიც, არაერთი პოლიტოლოგის მოსაზრებით, საერთოდაც ახლო აღმოსავლეთის რეგიონს მივეკუთვნებით.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ და მთლიანობაში პოლიტიკურმა ელიტებმა სრულად გაისიგრძეგანონ, რამდენად მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის კონსოლიდაცია. ერის კონსოლიდაცია არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ყველა ქართველმა ჩვენთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ერთნაირად ვიფიქროთ. კონსოლიდაცია ნიშნავს, რომ მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსისა, ჩვენ, როგორც ერი, ერთად ვდგავართ ქართული სახელმწიფოს, მისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გადასარჩენად.

ამასთანავე, აუცილებელია, მთავრობამ აქტიური მუშაობა გააჩაღოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მხრივ, რათა ქვეყანა მზად იყოს ყველაზე უარესისთვის, თუკი რეგიონში მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ აზრს უამრავი კრიტიკოსი გამოუჩნდება, განსაკუთრებით — საკუთარი ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილ ქართულ ფსევდოელიტებში და მათ მიმდევრებში, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს დამოუკიდებლად არაფრის გაკეთება ძალუძს. მათ საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომ ეროვნული უშიშროების საკითხებში სხვის იმედად ყოფნა უბრალოდ პოლიტიკური სიბეცის და სრული უპასუხისმგებლობის პირველი ნიშანია. **როგორც მსოფლიო ისტორიამ მრავალგზის გვიჩვენა, სახელმწიფო და ერი, რომელიც საკუთარი უსაფრთხოების და არსებობის სტრატეგიას სხვა ქვეყნების დახმარების იმედზე ამყარებს, უსათუოდ დაიღუპება.** მე იმედი მაქვს, ჩვენ მსგავს ბედს არ გავიზიარებთ.

„აქცენტი“

უპრეცედენტო ნაბიჯი ქართულ პოლიტიკაში

სალომე ზურაბიშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე ეხმიანება იმ ფაქტს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მის კონკურენტად მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში პარტიის მხრიდან კანდიდატი არ დაასახელა.

„რომ ვთქვა, არ ველოდებოდი ოცნების გადაწყვეტილებას, მაშინ თქვენთან მთლად გულწრფელი არ ვიქნებოდი ...იმის შემდეგ რაც ჩემი გეგმები გავუზიარე პრემიერს, ასეთი გადაწყვეტილების იმედიც და მოლოდინიც მქონდა, თუნდაც მარტივი ლოგიკიდან გამომდინარე და სწორ გათვლის შედეგად. თუმცა გარანტია არ არსებობდა იმისი, რომ ოცნება თავისი ალტერნატიულ კანდიდატურას არ დააყენებდა პირველივე ტურზე, როგორც ბუნებრივია პარტიულ ცხოვრებაში. პრემიერის განცხადებით ძალიან გახარებული დავრჩი და არა მხოლოდ ჩემი პირადი მიზნებიდან გამომდინარე.

ასეთი გადაწყვეტილება მართლაც უპრეცედენტო ნაბიჯად ჩაითვლება ქართულ პოლიტიკაში: პარტია დამოუკიდებელ და ზოგჯერ საკმაოდ კრიტიკულ და ყოველთვის თავისუფალ პიროვნებას „უთმობდეს“ ბრძოლის ველს, ნამდვილად სიახლეა ქართულ ცნობიერებაში და აქამდე დამკვიდრებულ პოსტსაბჭოთა ცნობირებაში.

მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ ამ ნაბიჯის გამართლება მე კი არ ვარ და ჩემი წარსული თუ გამოცდილება, არამედ ქართული ემიგრაცია. ძალიან ვამაყობ იმით, რომ მის წარმომადგენლად ასეთი ფორმით მაღიარეს .... პირველად ამ ნაბიჯით ემიგრაციის ინტერესების, უფლებების და პოლიტიკური წონის აღიარება მოხდა სხვა პარტიების სრულ დუმილის ფონზე.

ასეთი სრულიად ახალი მიდგომა ჩემთვის დამაიმედებელია და ამავდროულად ყველაზე საპასუხისგებლო“, — წერს სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

ცნობისათვის, სალომე ზურაბიშვილი მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს.

ვახტანგ ყოლბაია:

ქართველებისადმი აფხაზების დამოკიდებულება სასიკეთოდ იცვლება

აფხაზეთის ომის დაწყებიდან 24 წელი გავიდა. რა ხდებოდა იმ პერიოდში ავტონომიურ რესპუბლიკაში, როგორ და ვინ უწყობდა ხელს კონფლიქტის მომწიფებას, როგორია 24 წლის წინანდელი მოვლენების შეფასება დღევანდელი გადასახედიდან და რა კეთდება იმისთვის, რომ ხიდი, რომელიც 1992 წლის შემდეგ ჩაინგრა, აღდგეს და ქართველმა და აფხაზმა ხალხებმა თანაცხოვრება ისევ ძველებურად შეძლონ, – ამ თემებზე საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია ესაუბრება:

– ბატონო ვახტანგ, როგორი იყო ვითარება ომის წინ აფხაზეთში, როგორ მწიფდებოდა კონფლიქტი?

– ომის დაწყების ყოველი გახსენება, ძალიან დიდ ტკივილის გვაყენებს ყველას, ვინც იქიდან გამოვედით. აფხაზეთის ომი არ არის ცარიელ ადგილზე აღმოცენებული მოვლენა. ამას დიდი წინარე ისტორია აქვს და ეს ისტორია მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოდის. ჩვენ თანაცხოვრების დიდი გამოცდილება გვაქვს.

მართალია ეთნოპრობლემაც ახლავს ამ კონფლიქტის მიზეზების ჩამონათვალს, თუმცა ძირითადი მაინც პოლიტიკური მომენტი იყო. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნამ ავტონომიურ რესპუბლიკას თავისი დაღი დაასვა. შემდეგ კი, საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ასევე მოსახლეობის მრავალფეროვნებით ბევრმა ისარგებლა, პირველ რიგში კი რუსეთის სამხრეთ ნაწილმა. ბუნებრივია, როდესაც საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესი დაიწყო, რუსეთი არ გაუშვებდა ხელსაყრელ მომენტს სიტუაციის ასარევად, მით უმეტეს, რომ მთლიანად საქართველოშიც საკმაოდ არეული ვითარება იყო.

დღეს ომის დაწყებიდან 24 წლის შემდეგ, ცოტა სხვა თვალით და განწყობით ვუყურებ მოვლენებს. ხშირ შემთხვევაში ვფიქრობ, ცოტა მეტი წინდახედულება რომ ყოფილიყო თბილისიდან და მეტი მოთმინების უნარი ადგილობრივი მოსახლეობიდან, რაღაც მომენტების შერბილება შესაძლებელი იყო. ძაფი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში რუსეთის პოლიტიკა ქსოვდა, ჯერ სამაჩაბლოში, შემდეგ კი აფხაზეთში გაწყდა.

არადა, სამზადისი თვალნათლივ ჩანდა: შეიქმნა მთიელ ხალხთა კონფედერაცია, მათ დედაქალაქად სოხუმი გამოაცხადეს. მაგრამ ყველა იმ კანონს, რაც სოხუმს თბილისთან აკავშირებდა. რა თქმა უნდა, თავის მხრივ მის მიღებულ კანონებს თბილისიც აუქმებდა, მაგრამ რეალურად თბილისის გადაწყვეტილება სოხუმში ვერ ხორციელდებოდა, რადგან ძალაუფლება არძინბას ხელში იყო. მან შეძლო იმის გათვალისწინებაც, რომ ქართველები აფხაზეთშიც დაქსაქსულნი იყვნენ პარტიებად. იმ პერიოდში თბილისში მიმდინარე მოვლენებმა მათი განწყობა გაამაგრა.

– როგორი იყო აფხაზების დამოკიდებულება ქართველების მიმართ ომამდე?

– აფხაზებისა და ქართველების დამოკიდებულება 1989 წლის ივნისის მოვლენების შემდეგ დაიძაბა, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის შეტაკება მოხდა და სისხლი დაიღვარა. მაშინ ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი ვოვა ვეკუა მუხანათურად მოკლეს. ამას მოჰყვა მღელვარების დიდი ტალღა და შეტაკება. რუსეთიდან მაშინდელი შსს-ს სპეციალური დანაყოფებიც კი ჩამოვიდნენ, რომლებმაც კონფლიქტის ესკალაცია შეაჩერეს. ამ პროცესების დროს 20-მდე ადამიანი გარდაიცვალა. ამის შემდეგ სიტუაცია მართალია გარეგნულად იმდენად არა, მაგრამ შინაგანად კვლავ დაძაბული დარჩა.

ჩვენ დავდიოდით სოხუმში შეხვედრებზე, მაგრამ ყველაფერი ძალიან უხალისოდ მიმდინარეობდა, ერთმანეთს დაძაბული ვუყურებდით და აშკარა იყო, რომ მანამდე არსებული კეთილგანწყობა ცივდებოდა. ახალი თაობა ვცდილობდით ძველის მივიწყებას (1947, 1956, 1967 წლების დაძაბულობას აფხაზებსა და ქართველებს შორის), მაგრამ უკვე 1989 წელს ჩემს მეგობრებსა და კოლეგებს შორისაც გაჩნდა ბზარი.

– ომის დასაწყისში უპირატესობა თითქოს ჩვენ მხარეს იყო, რა გახდა გადანაცვლების მიზეზი?-არსებობს ვარაუდი, რომ პროცესებში გარკვეულ ღალატს ჰქონდა ადგილი.

– ეს თემა ძალიან მტკივნეულია. 24 წელი გავიდა და დღესაც არაერთგვაროვანი შეფასებები ისმის იმ დროინდელი მოვლენების შესახებ. ომში ბიჭებმა დიდი სიმამაცე გამოიჩინეს. იყო გმირობის საოცარი მაგალითები. თუმცა, რა თქმა უნდა იყო საბრძოლო ოპერაციაში გამოუცდელობა, მეთაურთა გამოუცდელობა, ოპერაციების დაგეგმარების არცოდნა, ტექნიკის და იარაღის არქონა. რუსებმა კი ბოლოს ისეთ რამეზე მოგვაწერინეს ხელი, ქართველები იძულებულნი გავხდით ყველა ქვემეხი და მძიმე ტექნიკა გამოგვეტანა კონფლიქტის ზონიდან. ჩვენ პრაქტიკულად ომის ბოლოს შიშველი ხელებით დავრჩით. ეს ერთ-ერთი მთავარი შეცდომაა ჩვენი მხრიდან, თუმცა შეცდომები არა ერთი იყო ომის მიმდინარეობისას. მე არა ვარ სამხედრო ექსპერტი, მაგრამ დღემდე პასუხგაუცემელი რჩება კითხვა- რა მოხდა 1993 წლის მარტში? იმ მოვლენების შემდეგაც თვეები იბრძოლეს ჩვენმა ბიჭებმა გმირულად. იმ ფონზე, როცა დანარჩენ საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, აფხაზეთში გულანთებული ბიჭები ომობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.

– თქვენ მთელი ომის განმავლობაში აფხაზეთში იყავით. რომელი იყო ყველაზე რთული და მძიმე პერიოდი?

– ყველაზე გადამწყვეტი მომენტი, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 15-16 მარტი გახლდათ. იყო ლოკალური საბრძოლო მოქმედებები ოჩამჩირეში, ვრცელდებოდა ხმები ტყვარჩელის აღებაზე. ამბობდნენ, რომ აფხაზები თვითონვე ხსნიდნენ „აფხაზურ დროშებს“ და ქართულის აღმართვაზე იყო საუბარი. დღემდე გაუგებარია, რა მოხდა, რატომ გაჩერდა ჯარი და არ გადავიდა შეტევაზე.

შესაძლოა, ელცინის გაფრთხილებამ შევარდნაძისადმი, რომელიც მაშინდელმა მთავარსარდალმა მერე გაახმოვანა – „კიდევ თუ წამოხვალთ წინ, დაგბომბავთ და გაგანდგურებთო“, მართლა იქონია გავლენა.

მე მაშინ ჟიული შარტავას მოადგილე ვიყავი და პარალელურად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახლდით. ომის დროს მე და გია გვაზავა აეროპორტში ვიყავით მიმაგრებული. თავს უამრავი რამ გადაგვხდა. ჩვენს თვალწინ დაიღუპა ლევან თედიაშვილის ვაჟი ვახტანგ თედიაშვილი. ასაფრენ ზოლს ვათავისუფლებდით და ის დასახმარებლად მოვიდა, დაიწყო დაბომბვა და ბომბის ნამსხვრევმა ადგილზევე იმსხვერპლა. რა თქმა უნდა, ვერასდროს ვერ დაივიწყებს ხალხი, რა დღეები გადაიტანეს ჩვენმა მეომრებმა. მათი პატივმიგება ცოცხლების, მშობლების, ნათესავების, შვილების პატივისცემაში უნდა გამოიხატოს. მათზე ზრუნვა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

– როგორ ფიქრობთ, ამდენი წლის შემდეგ, მიდის თუ არა ურთიერთობები დათბობისაკენ?

– რა თქმა უნდა ვითარება იცვლება და მე ვთვლი, რომ იცვლება სიკეთისკენ. ეს შეიძლება ერთი შეხედვით არ ჩანს, მაგრამ, რამდენდაც მე ვმონაწილეობ სხვადასხვა შეხვედრებში, ამ ყველაფერს ვგრძნობ გამოხედვებში, ტონალობაში და მოქმედებაში. თუნდაც როგორ იცვლება სიტუაცია ენგურზე... გაზეთებში ვკითხულობთ, რას წერენ აფხაზეთში ჩვენს რეფორმებზე... რა თქმა უნდა, დამოკიდებულება ყველა ამ პროცესისადმი ერთგვაროვანი არ არის, მაგრამ იგივე ხურჩაში მომხდარი ფაქტი რომ გავიხსენოთ, რომელსაც გამართლება არა აქვს, – მას შეფასება მოჰყვა აფხაზური მხრიდანაც. მართალია, შეფასებები სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ ასეთი შეფასებებიც რომ გაჩნდა, უკვე მიუთითებს იმაზე, რომ რაღაცაშია საქმე . სოხუმშიც ხვდებიან- არ შეიძლება არ დაინახო ის, რასაც დანარჩენი საქართველო აკეთებს. ჩვენ არ ვმალავთ, რომ აფხაზებისათვის ხელის გაწვდენა და ურთიერთობების დათბობა გვინდა. ეს კეთდება ჩვენთვის, მათთვის და ყველასთვის, ვისთვისაც ხვალინდელი დღე ფასეულია.

– თქვენი უწყება რამდენადაა ჩართული ამ პროცესებში?

– ჩვენი უწყება აფხაზეთში მაინცდამაინც დიდი სიყვარულით არ სარგებლობს. ეს ბუნებრივიცაა. ვცდილობ, სიტუაცია არ დავძაბო და ჩვენი მოქმედებებით ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკას ხელი არ შევუშალოთ. იქ, სადაც ზედმეტად ვთვლით თავს, არ გვინდა, რომ „ცხვირი ჩავყოთ“. სადაც საჭიროა, ვცდილობთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ არა აფიშირებულად. ამას ჩუმად, ყოველგვარი ხმაურის გარეშე ვაკეთებთ. ყველაზე დიდი უკუგება კი სიტუაციის დარეგულირება და დაძაბულობის მოლბობა იქნება.

ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოძმეების დაბრუნების სამომავლო იმედი ხვალინდელი დღეა. სწორედ აქ გამოდის წინა პლანზე ქართული სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს უნდა დავანახვოთ ის სიკეთე, რასაც ერთიან ქართულ სახელმწიფოში მშვიდობიანად ცხოვრება მოგვიტანს. მოლაპარაკება, შერიგება, ნდობის აღდგენა, ერთად ცხოვრება, საერთო ჭირ-ვარამის გაზიარება მხოლოდ მშვიდობიან გარემოშია შესაძლებელი. ისტორიული სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ ქართველებს არ სჭირდებათ, აუცილებელია ის აფხაზებისა და ოსებისთვისაც. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საერთო ძმობისა და ნათესაობის კვალს ვერც წლები და ვერც საუკუნეები ვერ წაშლის.

– აფხაზეთის მთავრობის სამომავლო გეგმებზეც ვისაუბროთ....

– გეგმები საკმაოდ დიდი გვაქვს. ჩვენ შევქმენით ნდობისა და შერიგების სამინისტრო, მას ძალიან აქტიური ხელძღვანელობა ჰყავს. მიმდინარე წელს ჩავატარეთ ახალგაზრდების რესპუბლიკური შეკრება. ვემზადებით ისევ ფლორენციაში გასამგზავრებლად. პროექტებში ჩართული გვყავს აფხაზები, სხვადასხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც. მიმდინარე წელს ბევრი რამაა დაგეგმილი. თუნდაც აფხაზეთისადმი მიძღვნილი დღეები, რომლებიც ასახავს ჩვენ დამოკიდებულებას კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებაში. ბათუმში სექტემბრის თვეში შარტავას ძეგლი გაიხსნება, რომელიც აჭარის მთავრობამ დააფინანსა. გვინდა ასევე აჭარაში გავხსნათ აფხაზურ-ქართული კულტურის ცენტრი. არის საკვირაო სკოლა, ამასთან სრულფასოვანი სკოლის გახსნის მოთხოვნილებაა. დაგეგმილი გვაქვს აფხაზეთის კულტურის ცენტრის გახსნა თბილისში და ამ საკითხზე ვმუშაობთ.

გარდა ამისა, სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამთ აფხაზური ენის გაძლიერების მხრივ. განათლების სამინისტროსთან შესაბამისი ლიტერატურისა და მეთოდოლოგიის შექმნაზე ვმუშაობთ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას ინიციატივით ვეწვიეთ ოქროყანას და დავათვალიერეთ ტექნოლოგიური პარკი. სხვებსაც, მათ შორის, ახალგაზრდებსაც მოვუწოდებ – ნახონ იქაურობა, გარწმუნებთ – არ ინანებთ!. შესანიშნავი შესაძლებლობაა ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ცოდნის შეძენა და გავრცელება. ჩვენ გვინდა ისეთი რამ გავაკეთოთ, რომ მსურველებმა აფხაზეთის ტერიტორიაზე ისწავლონ ის, რაც მათ სურთ. დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე აკრძალულია ქართული ენა, ლიტერატურა, ისტორია და გეოგრაფია. ამას უნდა დავუპირისპირდეთ. სიტყვის კარგი გაგებით. ეს არ უნდა იყოს და არც იქნება აფხაზურის საწინააღმდეგო.

ძალიან მახარებს, რომ ჩვენი ბავშვები აფხაზურად ლაპარაკობენ.

ძალიან საინტერესო, ჩვენი აზრით, გეგმები გვაქვს სოხუმის უნივერსიტეტთან დაკავშირებითაც, სადაც ახალგაზრდების ძალიან სერიოზული პოტენციალია. ამ პოტენციალის გამოყენება ჯერ ისეთ დონეზე არ ხდება, როგორც გვესახება.

ბევრი და ამბიციური ამოცანა გვაქვს აფხაზეთთან დაკავშირებით და ყველაფერი ეს მიმართულია კონფლიქტის მოგვარებისკენ მშვიდობიანი გზით და იმ პროცესში ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეების აქტიური ჩართვით.

ესაუბრა
თათია ტუხაშვილი

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ ᲬᲔᲚᲘᲡᲬᲣᲚᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ, ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠ ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ 70 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ

ᲔᲚᲒᲣᲯᲐ ᲛᲔᲫᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ – პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი; მეცნიერი კოსმოსური ტექნიკის და სამხედრო საინჟინრო დარგში; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, აკადემიკოსი; გენერალ-მაიორი; ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი; სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი; პროფესორი; სახელმწიფო პრემიის ლაურეატი; გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი; საქართველოს, საბჭოთა კავშირის, საზღვარგარეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმწიფო და საუწყებო ორდენებისა და მედლების, მათ შორის ვახტანგ გორგასალის I ხარისხის ორდენის კავალერი – დაიბადა 1946 წელს ქალაქ ბათუმში.

ბათუმის №1 საშუალო სკოლა 1964 წელს დაამთავრა ოქროს მედლით. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის წარჩინების დიპლომით დამთავრების (1969) შემდეგ იგი ამავე ინსტიტუტში იყო ასპირანტი, შემდეგ დოცენტი, პროფესორი და ასევე ჯერ „სამშენებლო კონსტრუქციების“, შემდგომ მის მიერ დაარსებული „სამხედრო-საინჟინრო შეიარაღების და სპეციალური ნაგებობების“ კათედრის გამგე.

2009 წლიდან არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი. მის მიერ, საკუთარი სამეცნიერო კვლევების საფუძველზე, დაარსებულია ახალი სასწავლო დისციპლინა – „ტრანსფორმირებადი ნაგებობები“, რომლის სალექციო კურსი ეკითხებათ სტუდენტებს. ამასთან, მან პირველად საქართველოში აამოქმედა სადოქტორო პროგრამა სამხედრო მეცნიერების დარგში.

ელგუჯა მეძმარიაშვილი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2015 წელს დაარსებული სამეცნიერო, ქართულ და ინგლისურენოვანი, რეფერირებადი ჟურნალის „სამხედრო მეცნიერება. საქართველო/Militari Science Georgia“-ს რედაქტორი.

აღსანიშნავის, რომ წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს იგი არის თავისი ინიციატივით ჩამოყალიბებული ორგანიზაციების: სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მოსკოვის ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „კომეტა“-ს თბილისის ქვედანაყოფის – სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი კონსტრუქტორი და უფროსი (1981-1991); საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი და გენერალური დირექტორი (1991-2006); საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (2001-2006); 2006 წლიდან იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორია.

ელგუჯა მეძმარიაშვილი 1999-2004 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც მას ეკავა სამხედრო მრეწველობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის და საპარლამენტო თემატური უმრავლესობის ლიდერის თანამდებობები.

1999-2002 წლებში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში.

მისი ინიციატივით საქართველოში 2000, 2009 და 2014 წლებში ჩატარდა სამი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის ბოლო ორი ევროპული კოსმოსური საგენტოს მიერ.

ელგუჯა მეძმარიაშვილის სამეცნიერო კვლევები მოიცავს – კოსმოსური და მიწისზედა სპეციალური დანიშნულების და სამხედრო-საინჟინრო ნაგებობებს და კომპლექსებს; ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიას; საქართველოს ტერიტორიის თავდაცვისათვის საინჟინრო მომზადებას; საქართველოს ომის თეატრში საბრძოლო მოქმედებებისა და ბრძოლების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფას და სამხედრო თეორიას.

აღნიშნულ დარგებში მას საზღვარგარეთ და საქართველოში გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო შრომა, რომლებიც მოიცავენ მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, სამეცნიერო სტატიებს და გამოგონებებს, რომელთა ნაწილს მინიჭებული აქვს გრიფი „სრულიად საიდუმლო“ და „საიდუმლო“.

მისი მონოგრაფიებიდან საეტაპოა გერმანიაში გამოცემული „Трансформируемые конструкции в космосе и на земле“, თბილისში გამოცემული „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო დოქტრინის საფუძვლები“ და გერმანიაში ინგლისურ ენაზე გამოცემული „Novel approach to indirect actions of military theory“.

ელგუჯა მეძმარიაშვილის ავტორობით და მთავარი რედაქტორობით მომზადებულია გამოსაცემად „ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი“ და „Transformable constructions“, რომელიც 2017 წელს გამოიცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ელგუჯა მეძმარიაშვილის სამუშაოები, რომლებიც საზღვარგარეთ და საქართველოშია რეალიზებული:

– 1981-1989 წლებში, სპეციალურად მისი სამუშაოების მიხედვით გამოშვებული საკავშირო მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო კომისიის გადაწყვეტილებით და თავდაცვის სამინისტროს დავალებით, გრიფით „სრულიად საიდუმლო“, შეიქმნა ბალისტიკური რაკეტების, მათ შორის ინვენტარული 48 მეტრი სიგრძის ხიდი, რომელიც დანიშნულების მიხედვით ხშირად იქნა გამოყენებული; საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო რუკა; საქართველოს ტერიტორიის და მასზე განლაგებული ობიექტების სამხედრო-საინჟინრო კატალოგის შექმნა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შესრულება, რომლის ფარგლებში დამუშავდა საქართველოს ტერიტორიის ომისათვის საინჟინრო მომზადების და საქართველოს ომის თეატრში ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სრული სპექტრი. აღნიშნულ სამუშაოებს ადევთ გრიფი „სრულიად საიდუმლო“. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სპეციალური რაიონების მაღალი სიზუსტის კოსმოსური გადაღებების მონაცემთა ციფრული ბანკი.

– ბოლო პერიოდში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსური ტექნიკის დარგში.

შესრულდა მრავალი საკონტრაქტო სამუშაოები, მათ შორის: „Daimler-Benz Aerospace“ -თან (1996-1997); „Alenia Aerospazio“-თან (2000-2001); ევროპული კოსმოსური სააგენტოს ESA-ს სატენდერო პროგრამა (2001-2009), რომელშიც საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ „Alenia Aerospazio“ (იტალია), „энергия“ (რუსეთი), „Magna“ (ავსტრია), „HTS“ (შვეიცარია) და „Sener“ (ესპანეთი).

2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ევროპული კოსმოსური სააგენტოს (ESA) და მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (MTU) ოთხი კონტრაქტით გათვალისწინებული შეკვეთები შესრულდა ახალი თაობის კოსმოსური დიდი გასაშლელი რეფლექტორების დარგში.

– მის მოღვაწეობაში წარმოსაჩენია კოსმოსურ ორბიტებზე რეალიზებული სამუშაოები, რომელთაც არ ადევთ საიდუმლოობის გრიფი და ისინი ვრცლად აღწერილი და მოხსენიებულია საზღვარგარეთის სხვადასხვა გამოცემებში. ესენია:

- შეწყვილებული წრიული ოცმეტრიანი კონსტრუქცია „კრაბი“, რომელიც განხორციელდა კოსმოსურ ხომალდ „პროგრეს 40-ზე“ (1989);
- 18-მეტრიანი ნაგებობა – „სოფორას“ საბაზო კონსტრუქცია, რომელიც რეალიზებულია ორბიტალურ სადგურ „მირზე“ ღია კოსმოსურ სივრცეში (1991);
- საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის იყო პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი – „რეფლექტორი“, რომლის გენერალური კონსტრუქტორია ელგუჯა მეძმარიაშვილი. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტი ორბიტაზე გავიდა 1999 წლის 23 ივლისს. იგი წარმატებით გაიშალა და გამოიცადა. 1999 წლის 28 ივლისს ობიექტი ჩამოსცილდა ორბიტალურ სადგურს და დაიწყო მოძრაობა დედამიწის ირგვლივ თანამგზავრულ ორბიტაზე.

ყოველი წლის 23 ივლისი საქართველოში, პრეზიდენტის ბრძანებულებით (№337 19.VII.2002), დაწესებულია „პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის“ დღედ. მოვლენის აღსანიშნავად გამოიცა საფოსტო მარკები. კოსმოსური ობიექტის შექმნა და გაშვება ორბიტაზე კოსმონავტიკის დარგის გამოცემებში აღიარებულია ახალი ტექნოლოგიების დასწყისად. პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის განხორციელების ფაქტი და თარიღი შეტანილია კოსმონავტიკის განვითარების ძირითად ქრონიკათა ჩამონათვალში.

ელგუჯა მეძმარიაშვილის მოღვაწეობის ძირითად მიღწევად მიჩნეულია: პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის შექმნა და მისი ორბიტაზე გაყვანის და პროგრამა „რეფლექტორის“ წარმატებული რეალიზება ღია კოსმოსურ სივრცეში; ტრანსფორმირებადი საინჟინრო სისტემების თეორიის შექმნა; კოსმონავტიკის დარგის – კოსმოსური ნაგებობების ქართული სამეცნიერო და ტექნიკური სკოლის ჩამოყალიბება, რომელმაც კოსმოსურ ორბიტაზე მრავალი პროგრამის რეალიზება შეძლო; საქართველოში სამხედრო-საინჟინრო და სამხედრო თეორიის სამეცნიერო მიმართულების განვითარება.

სახელმწიფოს მხრიდან მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ოფიციალური აღიარების გარდა, იგი არჩეულია მცხეთის საპატიო მოქალაქედ. მას გადაეცა საქართველოს პატრიარქის საპატიო სიგელები – თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებისათვის და საქართველოს მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ელგუჯა მეძმარიაშვილი, ინტერნეტ საიტზე – „Конструкторы ракетно-космических систем“, დასახელებულია აღიარებულ 81 კონსტრუქტორს შორის. იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამხედრო მეცნიერების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. არჩეულია მრავალი აკადემიის წევრად. არის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის და მრავალი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი.

მისი სამეცნიერო მოღვაწეობა და ბიოგრაფია შეტანილია მსოფლიოს უმთავრეს ბიბლიოგრაფიულ გამოცემებში, მათ შორის – Who's who in the word,2008, 2009, USA. Who's Who in scinece and Engineerig, 2007, 2008, 2009 USA; ინგლისურ, ქართულ და რუსულენოვან ინტერნეტ ენციკლოპედიაში – Wikipedia, ასევე ენციკლოპედიაში „თბილისი“ (2002) და სხვა მრავალ გამოცემებში.

მთლიანობაში ელგუჯა მეძმარიაშვილის მოღვაწეობამ განაპირობა: საქართველოში დამატებით რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ეკვივალენტის ფინანსების შემოდინება; ასეულობით სამუშაო ადგილის შექმნა; უნიკალური სასტენდო კომპლექსების აგება; ახალი ტექნოლოგიების შემოტანა; შეკვეთები წარმოებებში; კონსტრუქციების შექმნა, რომელთაც ანალოგი არ გააჩნიათ მსოფლიოში; კოსმოსურ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობა; ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე და პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის წარმატებული გაშვება ორბიტაზე.

– ბოლო პერიოდში მეტად მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა კოსმოსური ტექნიკის დარგში.

შესრულდა მრავალი საკონტრაქტო სამუშაოები, მათ შორის: „Daimler-Benz Aerospace“ -თან (1996-1997); „Alenia Aerospazio“-თან (2000-2001); ევროპული კოსმოსური სააგენტოს ESA-ს სატენდერო პროგრამა (2001-2009), რომელშიც საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ „Alenia Aerospazio“ (იტალია), „энергия“ (რუსეთი), „Magna“ (ავსტრია), „HTS“ (შვეიცარია) და „Sener“ (ესპანეთი).

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი

ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲡᲐᲚᲣᲥᲕᲐᲫᲔ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

ამბროლაურში აეროდრომის მშენებლობა მალე დასრულდება

ამბროლაურში, აეროდრომის მშენებლობის დასრულება წლის ბოლოსთვის იგეგმება, — აეროპორტის მშენებლობის, აღჭურვის და ოპერირებაში შეყვანის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების სწრაფად შესრულების მიზნით, მთავრობა გამარტივებულ შესყიდვას მიმართავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ამბროლაურში აეროდრომის მშენებლობა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც რეგიონში მცხოვრებთა დამაგრებისთვის, ასევე ტურიზმის განვითარებისთვის.

„ეს ძალიან მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მთლიანად რაჭაში ტურიზმის განვითარებას. ვფიქრობთ, წლის ბოლომდე დავასრულებთ აეროდრომის სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანას და დასრულებული იქნება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, შესაძლოა, ტერმინალის იმ მდგომარეობამდე მიყვანაც, რომ მგზავრების მიღება მოხერხდეს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გაზრდილი მგზავრთა ნაკადის მომსახურებისთვის, დამატებითი ინფრასტრუქტურის მშენებლობა იგეგმება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტშიც, რომელსაც 23 სექტემბრიდან, ევროპისკენ 7 მიმართულება ემატება.

მთაში მცხოვრებ მოსახლეობას დამატებითი სოციალური უზრუნველყოფა ექნება

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები, პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღები პირებისთვის დანამატის დანიშვნის პროცედურა მნიშვნელოვნად მარტივდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ცვლილება მნიშვნელოვანი იქნება, ამ მიმართულებით ყოველგვარი ბიუროკრატიული ბარიერის მოსახსნელად, რათა პენსიონრებმა და სოციალური პაკეტით მოსარგებლეებმა დამატებითი შეღავათები მარტივად მიიღონ.

„ჩვენ მიზნად დავისახეთ მთაში მცხოვრები მოსახლეობის დამატებითი სოციალური უზრუნველყოფა და ამ პროგრამით, ახალგაზრდა და მრავალშვილიანი ოჯახები უკვე სარგებლობენ. ხოლო, პირველი სექტემბრიდან დანამატებით ისარგებლებენ პენსიონერები, მასწავლებლები, ექიმები, ექთნები; საგადასახადო შეღავათებით კი, მეწარმეები, მთიან რეგიონებში“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ვებრძვით C ჰეპატიტს

მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში, C ჰეპატიტი, ფაქტობრივად აღმოიფხვრება, C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიას მთავრობა დღევანდელ სხდომაზე დაამტკიცებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეფასებით, საამაყოა, რომ გასული პერიოდის განმავლობაში, ათასობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ათასობით ოჯახის სიღატაკისგან ხსნა მოხერხდა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მთავრობის მიზანია, 4 წლისთავზე, C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90% — გამოკვლეული, ხოლო დაავადებულთა 95% განკურნებული იყოს. ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმის მთლიანი ბიუჯეტი 116 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან — 57 მილიონი ლარი დაიხარჯება; პროგრამის ფარგლებში

სახელმწიფო უსასყიდლოდ მიიღებს 15 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების მედიკამენტებს.

მთავრობის მეთაურმა სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულ პარტნიორებს, მათ შორის — გლობალურ ფონდსა და ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის ცენტრს, ასევე, სამთავრობო გუნდს, დავით სერგეენკოს ხელმძღვანელობით, მადლობა გადაუხადა.

ახალი ხორცპროდუქტებისა და საკონდიტრო ნაწარმის საწარმოები

პრობგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში კიდევ 2 ახალი საწარმო იქმნება. საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, ხორცპროდუქტების საწარმო, რომელიც თბილისში შეიქმნება, 190 ადამიანს დაასაქმებს; გათვალისწინებულია 3 755 202 ლარის ინვესტიცია. ხოლო მეორე — მაკარონის, პურ-ცომეულისა და საკონდიტრო ნაწარმის გამომშვები საწარმო შეიქმნება ქობულეთში, დაბა ოჩხამურში, სადაც გათვალისწინებულია 160 ადამიანის დასაქმება და 320 000 ლარის ინვესტიცია.

კახეთის გზატკეცილზე ორი წლის ვადაში უნდა შეიქმნას ყავის გადამმუშავებელი საწარმო, რისთვისაც კომპანია 11 277 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს და 30 ადამიანს დაასაქმებს; ხოლო ოზურგეთში, სოფელ გურიანთაში, ჩაის გადამმუშავებელი საწარმო აშენდება, რისთვისაც, მეწარმეს 57 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსგან 25-წლიანი იჯარით გადაეცემა.

გაზიფიცირება კასპის სოფლებში

კასპის მუნიციპალიტეტში დამატებით 10 სოფლის გაზიფიცირების პროექტირების სამუშაოები განხორციელდება — ამის შესახებ ინფომაციას კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

„კასპის მუნიციპალიტეტს კიდევ 10 გაზიფიცირებული სოფელი შეემატება. ეს არის განახლებული ნუსხა იმ სოფლებისა, რომელთა გაზიფიცირების პროექტირების საკითხმა მიმდინარე წლის გეგმაში გადმოინაცვლა. ამ სოფლებში პირველი ეტაპისთვის მოხდება პროექტირების სამუშაობის განხორციელება და შემდგომ განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები. ჯამში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის 18 სოფლის გაზიფიცირება“, —აცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტში.

მთავრობის ახალი განკარგულების შესაბამისად 2016 წელს დამატებით 10 სოფლის: მეტეხი, ზემო ჩოჩეთი, გომი, ნიაბი, ახალქალაქი, დოესი, თელიანი, ზემო ხანდაკი, იგოეთისა და მრგვალი ჭალას დაპროექტება მოხდება.

„საოჯახო მარანი“ ატენის ხეობაში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ატენში ღვინის ახალი მარანი „შატო ატენი“ გაიხსნა. პრეზენტაციას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, შიდა ქართლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი იოსებ ოქრომელიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

„შატო ატენში“ ვიზიტორებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ადგილობრივი წარმოების ღვინო, გაეცნონ ღვინის მომზადების პროცესს და დაათვალიერონ ვენახები. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია საქართველოში ღვინის ტურიზმის განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროექტებში აქტიურად მონაწილეობს. ადმინისტრაციამ განაახლა პროექტი „ღვინის გზა.“ მიმდინარეობს საქართველოს მასშტაბით არსებული მარნების იდენტიფიცირება. რეკომენდირებული მარნებისთვის მზადდება მანიშნებლები და სახელობით დაფები.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რაფიკ მუსაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქალაქი მარნეული, 10912კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.02.973);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქალაქი მარნეული, ნიზამის ქ. №14, 2229კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.02.974);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მარნეულის რაიონი, სოფელი საბირკენდი, 55500კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებულ 116.40კვ.მ. შენობა-ნაგებობასთან ერთად (საკადასტრო კოდი: 83.03.02.674);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 67128.02 ლარი. მათ შორის:

4.1 10912კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.973) ფასი შეადგენს 7522.96 ლარს;

4.2 2229კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.974) ფასი შეადგენს 1736.07 ლარს;

4.3 55500კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 116.40კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.674) ფასი შეადგენს 57868.99 ლარს დღგ-ის ჩათვლით (დღგ შეადგენს 8827.33 ლარს);

4.4. **აუქციონის ჩატარების წესი:** სარეალიზაციო ნივთები იყიდება ერთ ლოტად;

5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2016 წლის 30 აგვისტო, 15:00 საათი;

6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

7. **მოვალე:** ნაზირ ხაჯაევი (პ/ნ 28001024589), მარნეული, ნიზამის ქ. №17;

რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

აბიბ აბუზაროვი (პ/ნ 28001063407), მარნეული, ნარიმანოვის ქ. №49;

სიავუშ ხაჯაევი (პ/ნ 28001011847), მარნეული, ნარიმანოვის 3 ჩიხი №4.

8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 30 აგვისტოს 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

ზეცის სიფითრე პოეტის სახეზე

შტრიხები ზურაბ ნარმანიას პორტრეტისთვის



გასული საუკუნის 70 - იანი წლების მიწურული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრე ლიტერატურული ცხოვრების ეპიცენტრად ქცეულა.

კრიტიკის ქარ-ცეცხლს აყენებენ **თემურ ნუცუბიძე** და **თემურ ქორიძე;** მათ არც **ნოდარ გრიგალაშვილი** და **მიხეილ ანთაძე** ჩამორჩებიან; ეს უკანასკნელი თავს ორიგინალური პოეტური სტრიქონებითაც გვამახსოვრებს: „აფრიკის რუკა ჰგავს თეთრეშვება ვეებერთელა სპილოს“...

ლექსებს კი არ ვიზეპირებთ, თავისთავად, ძალდაუტანებლად გვამახსოვრდება.

სულს ესალბუნება **ნაირა ცხვედიანის** ლირიკა: **„მზე გაქცევია მწვერვალებს და ცაზე გასულა საბალახოდ, უბელო ცხენებს მოვახტეთ და გიჟი ენგური გადავლახოთ“...**

პატრიოტული მოტივი ჯერ კიდევ არ ქცეულა საქილიკოდ(?!) და გულის სიმებს გვირხევს **თამაზ ბერუჩაშვილის** სტრიქონები: **„შენი ჯვარი და შენი ბოლნისი ხსნას უდრის ჩემთვის და გადარჩენას, ავაშენო და სვეტიცხოვლისთვის ნეტა მომჭრიდეს ვინმე მარჯვენას“...**

თუ კარგად მახსოვს, ესეც მისია: **„ღმერთო, მომეცი ფრთები იმხელა, ჩემი მთებიდან ვერ გავეტიო“...**

ვაჟა მიროტაძე, „წრეზე გატანას“, რატომღაც, ეკრძალვის და ვიწრო წრეში გვიკითხავს პასტოლარული იდილიით განმსჭვალულ სტრიქონებს: **„ღრუბლები ჰგავდნენ ჩოხიან მაყრებს და ბარბაცებდნენ როგორც მთვრალები... ამოდიოდა მთვარე კონცხიდან, უთეთრდებოდა ღამეს თვალები, ქოჩორა ბიჭი გოგოს კოცნიდა და ტკარცალებდნენ სოფლის ქალები“...**

ყველაზე პოპულარული კი მაინც მწყემსური ცხოვრების შემდეგ მთიდან სასწავლებლად ჩამოსული **ტარიელ ხარხელაურია,** ვაჟასეული შარმითა და საკუთარი ინტონაციით: **„ვიტყვი, რასაც ვუყურებ და რაც მელანდება, როცა ია სლუკუნებს, მე რა მევარდება“...**

და იქვე მისგან სრულიად განსხვავებული **ზურაბ ნარმანია,** განსხვავებული ბიოგრაფიითაც და მსოფლხედვითაც:

თვალებში შენი შორეული გალობე მენთო,
მქონდა წუხილი, მუდამ ძველი, მუდამ ახალი,
რა მეშველება, სადმე მართლა
გიპოვნო, ღმერთო,
ძემ ადამისამ ვინ ვეძებო შენზე მაღალი...

* * *

დაიბადა ზუგდიდში. ცნობილი პროკურორის ოჯახში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე შევიდა. რეჟისორმა **ზაალ კაკაბაძემ** სწორედ იმ დროს გადაიღო ფილმში „სიყვარული, ივერია და“...

პარტნიორი? — თვით **ლიკა ქავჟარაძე,** იმდროინდელი(და არა მხოლოდ) ახალგაზრდების კუმირი.

იმხანად ჯერ კიდევ ძალიან პოპულარული იყო ინდური ფილმები, განსაკუთრებით კი „პროკურორის ვაჟი“. თბილისელ გოგონებს კი თავიანთი პროკურორის ვაჟი ჰყავდათ — ძალიან სიმპათიური, ნიჭიერი, იდუმალი, გამოუცნობი...

ბევრს ეგონა, რომ მსახიობობას გაჰყვებოდა.

მოტყუვდნენ.

ფილმს თუ გაახსენებდი, გეტყოდა: „რას ვიზამთ, თითო ცოდვა ყველასა აქვს.“

არა მხოლოდ არტისტულ მონაცემებს, გარეგნობასაც კი ბრძოლა გამოუცხადა — სულაც არ ხიბლავდა „ლამაზი ბიჭის“ იმიჯი.

და თავისი ხანმოკლე ცხოვრების მიმწუხრზე ის თითქმის აღარაფრით ჰგავდა საკუთარ სიჭაბუკეს, სამაგიეროდ, სახეზე მკაფიოდ აღბეჭდილიყო ზეცის სიფითრე და ახლა უფრო მძაფრად განიცდებოდა მისი ადრინდელი ლექსები:

ცაზე კრუხივით ჩამოჯდა მზე და
თბებოდა კვერცხი ჩაძირულ ნავში;
და ჭიშკარივით გაიღო დედა
და შინ ტირილით დაბრუნდა ბავშვი;

ვისია კოვზი ვარსკვლავით სავსე,
ზეცის სიფითრე ვის სახეს შვენის?
ამ უდაბნოში ვის დავემსგავსე?
მითხარით ვინმემ სახელი ჩემი...

ბავშვი ხშირად გამოჩნდება მის შემოქმედებაში — სრულიად განსაკუთრებული დატვირთვით, ერთი შეხედვით, გალაკტიონს რომ მოგვაგონებს, მხოლოდ ერთი შეხედვით:

„დღეს ჩემს თვალწინ წაიქცა წუთისოფლის ღმერთი — ბავშვი. და როგორ მინდოდა, მომეტყუებინა იგი, რომ კარგია, წაიქცე, მაგრამ ხელს მიშლიდა მისი გაკაწრული მუხლი, რომელიც ორივეს გვტკიოდა“...

* * *

ის პოეტი იყო.

და თუ პროფესიის მითითება მაინც აუცილებელია, ასე უნდა ვთქვათ: „ღმერთის მაძიებელი“...

თვითონვე წერს, რომ კალამს დაეჭვებულმა მოჰკიდა ხელი:

„ხომ შეიძლება, სამყარო, რასაც შემოქმედება ჰქვია, ჩემთვის შეუვალი ტყე იყოს, იყოს გადაულახავი ზღუდე, მაშინ კი ჩემს უწვრთნელ სულში ადგილს იპოვნის ისეთი ცნებები, როგორიც არის მარტოობა, უიმედობა; გასაგები გახდება, თუ რას ნიშნავს „დამსხვრეული ოცნება“ და ოცნებამდე დარჩენილი ოცნება. მაშინ კი უსათუოდ დავიკარგები“...

* * *

გაივლის წლები და დაწერს:

არ შემოაღოთ ჩემი კარები,
აქ დაუდგრომელ ფიქრთა ომია,
ჩემი სიცოცხლის სველი წამები
დაუბრუნებელ გზას დადგომია...

ამ სტრიქონების ავტორმა უეჭველად განიცადა მარტოობა, თუმცა, საბედნიეროდ, უიმედობაში არ დაკარგულა და დაუცხრომლად განაგრძო ღმერთის ძიება, რადგან ღრმად სჯეროდა: **„ვინც უფალს ეძებს, იპოვნის სიმართლის ცოდნას.“**

ამ ძიებაში, პუბლიცისტური სიტყვის ძალაც მოიშველია და დაწერა მრავალმხრივ საყურადღებო ესე — **„სულის მახვილი.“** მართო დავით აღმაშენებლის ფენომენისა და მისი წარმატებების საიდუმლოს ღრმად რელიგიური ახსნა რად ღირს: **„არავის ძალუძს დაუდოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რომელიც არის იესუ ქრისტე“... ამ საძირკველზე აღიმართა ქართული ფენომენის ყველა წმინდა და მაღალი სვეტი და მათ შორის, ალბათ, ყველაზე მაღალი — დავით აღმაშენებელი, რომელმაც გვაჩვენა, თუ რა ბედნიერებაა, როცა ხალხი შეთანხმებულად ადგას ერთადერთ სწორსა და „ვიწრო გზას“, რომელიც მიწას ზეცასთან აკავშირებს“...**

* * *

დაუსრულებელ ფიქრთა ომი.

ამ ომში იბადება პოემა, რომელსაც სათაურზე უფრო უცნაური ქვესათაური აქვს.

სათაური: **„მფრინავი ჭიანჭველა“;**

ქვესათაური: **„ანუ სიკვდილთან შეგუებული რაინდი, არადა, ფრთების გარეშეც ვერ გაფრინდები“.**

ეს ჯერ კიდევ წაუკითხავი პოემაა — ჩემგანაც(თუმცა, წავიკითხე) და სხვებისგანაც.

ალბათ, დადგება დრო, როცა კრიტიკოსები სერიოზულად დაფიქრდებიან იმაზე, თუ რატომ წარუმძღვარა ავტორმა ამ მართლაც უცნაურ პოემას („გველისმჭამელსაც“ ასე უწოდებდნენ) ეპიგრაფად **დავით გურამიშვილის** სტრიქონები: **„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო? ვინცა ქმნა თიხა ჭურჭელად, რას უძღვნის ხელფასადაო?“** დაფიქრდებიან იმაზეც, თუ რას ნიშნავს პოემაში არაერთგზის მოხმობილი ეგვიპტე და ლევიათანი; კიდევ ბევრ რამეზე დაფიქრდებიან.

* * *

ტიტე მოსიამ „მფრინავ ჭიანჭველას“ მიუძღვნა ესე, სადაც, ფაქტობრივად, მოცემულია პოემის მხატვრული სამყაროსა და კონცეფციის გასაღები. რაგინდ უცნაურიც იყოს, ეს გასაღები ერთ თითქოსდა უბრალო მოგონებაში დევს: **„მახსოვს ბავშვობის ერთი დღე. ბაბუას ვეხმარებოდი შეშის დამზადებაში. ხის ძირას აურაცხელი ჭიანჭველა ვიხილეთ. ბაბუამ მითხრა: დააკვირდი, რა თავგანწირულად მოძრაობენ ეს პაწაწკინტელა ცოცხალი არსებანი, რომლებიც მათზე მძიმე ტვირთს აიკიდებენ ზურგზე და ზამთრისათვის აგროვებენ სარჩო - საბადებელს. ისინი ბედნიერნი არიან, ვიდრე მიწას მიჯაჭვული ჩანან. რომელიმე მათგანი როგორც კი ფრთებს გამოისხამს და ფრენას დაიწყებს, იმწამსვე იღუპებაო.ეს სიტყვები თვალწინ დამიდგა, როცა ბიბლიას პირველად ვკითხულობდი: „იქმენ, ვითარცა ჯინჭველი, მცონარო, და ჰბაძევდ გზათა მისთა და იქმენ უბრძნეს მისა“...**

კარგი იქნება, თუ კრიტიკოსები ამ ესესაც ყურადღებით წაიკითხავენ და ღრმად გაიაზრებენ, თუ რატომ წარმოიდგენს ზურაბ ნარმანია მთელს ქვეყანას ჭიანჭველეთად...

* * *

„დაიღუპოს ჭიანჭველა, როცა ფრთებს გამოისხამს.“

მაგრამ უფრთებოდაც რომ ვერ გაფრინდები?

ანდა გალაკტიონს რა ვუყოთ — ფრთები, ფრთები გვინდაო, რომ მოგვძახის?

ნამდვილი ჩიხია და სწორედ მისგან თავდაღწევის ძიებაა ზურაბ ნარმანიას პოემა.

განსაკუთრებით ტრაგიკული კი ისაა, რომ ჩიხშია ადამიანიც და ქვეყანაც, რადგან **„ყველამ თავის ნებით შექმნა საკუთარი გალია“...**

ზურაბ ნარმანია თითქოს ყველას მაგივრად შესთხოვს:

მამა ღმერთო, ძეო ქრისტევ,
სულიწმინდავ, შემინდე,
წუთისოფელს უშენობა რას უქადის, ვხედავ,
უმძიმესი ცოდვებისთვის
ცეცხლით უნდა მდევნიდე,
შენ კი ითმენ, ღვთისმშობელო და
დედათა დედავ...

„დედათა დედავ“ — როგორ არ მიმართავენ ღვთისმშობელს ქართულ პოეზიაში.

ეს ზურაბ ნარმანიას მიმართვაა.

* * *

ის რაინდი იყო, სიკვდილთან შეგუებული რაინდი.

ის ჯიუტად ეძებდა საკუთარ თავს და ამქვეყნად მოვლინების გამართლებას. ეძებდა უფრო მეტი ეჭვიანობით, ვიდრე ეს პოეტებსა და ფილოსოფოსებს „მოეთხოვებათ“...

სულ მალე ღამის ვარსკვლავები გაიღვიძებენ,
მე კი აქამდის ვერ ნათელვყავ, რამ მქნა,
რამ მშობა?
ჩუმად! — მიწაზე იასავით ამოდის ღამე...
ჩუმად! — მთვარეში მეორდება ჩემი ბავშვობა...

რამდენი რამ არის სამყაროში აუხსნელი, რამდენი ფილოსოფიური კითხვა - პასუხგაუცემელი!

დარწმუნებული ვარ, ზურაბ ნარმანიამ ბევრ ასეთ კითხვაზე პასუხი იცოდა და სიზმრებსაც არაჩვენებურს ხედავდა, მაგრამ ბოლომდე არ გვენდობოდა და ყველა საიდუმლო გაგვიმხილა, ეს რჩევა კი გაიმეტა:

ქოხი აიგე ზღვასთან, —
ხშირად მზის ჩასვლა ნახო,
მაშინ მიხვდები, ქვეყნად
რაა ყველაზე ახლო...

იქვე ამ აღმოჩენასაც გვაზიარა:

ბოლოც იქვე აქვს წერტილს,
სად გაჩენაა მისი...

აღმოჩენა აღმოჩენად, მაგრამ ამ კითხვა-პასუხს რა ვუყოთ:

მერე ვისია ზეცა? —
ვისი და არავისი!

არავისი?! — აი, აქ კი ვერ დავეთანხმები...

იოსებ ჟუმბურიძე

◎ სათრეველები

იმპიჩმენტი!

არ აფიქრებს ვინ და რა თქვა,
ყურს არ უგდებს ათიათასს,
მოედება ალთას, ბალთას,
რეფერენდუმს აღარ მართავს,
რადგან სხვათა რეზიდენტის
თოჯინაა პრეზიდენტი!
მეტის მეტი ბრეტის ბრეტით,
მის ნათქვამზე ქსოვს და ართავს,
არვინ ახსოვს იმის მეტი,
ის აცეკვებს და ის მართავს
მის ქვეშევრდომ იმ თავს, ამ თავს,
მათ ბრძანებებს და სამართალს! —
დროს ნუ ვკარგავთ მხოლოდ „ჩქმეტით“
გაურკვევლის გარკვევაში:
იმპიჩმენტი, იმპიჩმენტი,
იმპიჩმენტი მარგველაშვილს!

გრანტიჭამიებს!

ქრთამს რომ უწოდებთ რუსულ პენსიას,
მართლაც ქრთამია, აბა, რა არი?!
თუმცა არც თქვენ გყავთ ღმერთად
მესია,
გრანტიც არ გახლავთ თასი გრაალის!
და ქვეყნად დადგა განკითხვის უამი
სხვათა პენსიის და გრანტის ჭამით!

განსჯა განმსჯელისა

არაფერი რჩება კონსტიტუციური,
როცა პოლიტიკაა პროსტიტუციური
და ხელმძღვანელია „ნაცების“ ცერბერი,
სხვისი სახლკარის 1000 ლარად
მიმთვისებელი,
ჭორიკანა და თავხედი,
ქვეყნის წამხდენთა წახედვით
დღესაც რომ წარმართავს
კონსტიტუციურ სამართალს!

მადლი ღვთისმშობლის კალთისა

უკვე უკან დარჩა ჩატეხილი ხიდი
და დღეს სხვა სვლა-გეზი მოსწონთ
შადიმანებს,
გრანტიჭამია რომ გროშის ფასად
გვყიდის,
ნეტა კახაბრები რატომ გადიმალნენ?
მზერა დაგვიბინდა სხვისკენ
ხელგაშვერამ,
მაგრამ მაინც ვხედავთ,
ახლა ვინ რას შვება,
თუმცა გზა ჩაკეტა „ნატომ“ შესაშვები,
მაგრამ ღვთისმშობელმა
კალთა შეგვაშველა.

ალექსანდრე შენგელია.
ქუთაისი

მელია ფეხბურთელების წინააღმდეგ

კვალიფიკაციით შეუსაბამო ადამიანებად აფასებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ნიკა მელია „ქართული ოცნების“ მიერ თბილისში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს და ყურადღებას ორ ფეხბურთელ კანდიდატზე ამახვილებს. **„მაგალითად, ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ფეხბურთის ფედერაციაში პრეზიდენტის არჩევნების დროს ვერ დაარეგისტრირეს პრეზიდენტობის კანდიდატად, ვინაიდან მას არ ჰქონდა უმაღლესი განათლების დიმპლომი. თუკი ფეხბურთის მართვას სჭირდება უმაღლესი განათლება, ქვეყნის მართვას არ სჭირდება? ეს არის მართლაც მთელი თბილისის დაცინვა. ასევე ლევან კობიაშვილი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იქამდე, სანამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი არ გახდა, იკადრა უკადრებელი — წამალიც კი ჩაადებინა, კაცი დააჭერინა რეალურად, რომ გამხდარიყო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. ასეთი ადამიანებით „ქართული ოცნება“ პარლამენტარიზმის მთელ არსს აუფასურებს და ამიტომაც არის, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს უკეთესი ხვალინდელი დღის რწმენა აქვს დაკარგული, ვინაიდან მსგავსი ადამიანები არიან არჩევნებში ჩართულები“,** — განაცხადა ნიკა მელიამ.

უცნობი გენერალისიმუსი...

სტალინი. პირადი ცხოვრება



პირველი სიტყვის მოგონებები

ე. გლუშიკისა და ო. სტრელცოვას მასალების მიხედვით. გაზეთი „ზავტრა“

სტალინი და ომი

— ილებდით მონაწილეობას თქვენ და ვასილი გამარჯვების პარადში?

— მე იმ დროს უნგრეთში ვიყავი, ვასილი გერმანიაში მსახურობდა, ამიტომაც პარადში მონაწილეობა ჩვენ არ მიგვიღია. ომის შემდეგაც ორივე ძალიან დაძაბულები ვმუშაობდით — საჭირო იყო ჯარი მშვიდობიანი დროის მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა, დაგვებინავებინა, შეგვენარჩუნებინა საომარი მზადყოფნა.

— სტალინმა მოგილოცათ გამარჯვების დღე?

— არა, პირადად არ მოულოცავს...

— იცოდა თუ არა სტალინმა, რომ თქვენ და ვასილიმ ჯილდოები მიიღეთ?

— შეუძლებელია ვასილის დაჯილდოება არ სცოდოდა, მაგრამ ვასილი ასე ამბობდა: ვიდრე ჩემი ბიჭები ყველანი არ დაჯილდოვდებიან, ჩემს დაჯილდოებაზე ლაპარაკიც არ ღირს, ვინაიდან ჩემი ჯილდო ერთგვარი საჩუქარია მამასთვისაც, საჩუქარზე კი საპასუხო საჩუქარია საჭირო, ხოლო საპასუხო საჩუქარი იოსებ ბესარიონის ძე სტალინისათვის ადვილი არ გახლავთ. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ვასილის ბევრი ჯილდო არა აქვს, თუმცა ყველა მისი თანამებრძოლი ადასტურებდა, რომ გმირულად იბრძოდა, ლომივით უშიშრად შედიოდა ბრძოლაში.

* * *

— **როგორი** იყო მებრძოლების დამოკიდებულება სტალინისადმი? იყო უკან დახევები, იყო დანაკარგები.

— რახან, არსებობს სტალინი, ესე იგი, გავიმარჯვებთ... რახან სტალინი მოსკოვშია, გერმანელები მოსკოვს ვერ აიღებენ... რახან სტალინი მთავარსარდალია, გერმანელები ვერ გვაჯობებენ...“ — აი, ასეთი იყო მათი დამოკიდებულება... როცა მდგომარეობა ძალიან დამძიმდა, ასე ამბობდნენ, სტალინმა იცის, რას აკეთებს და რისი გაკეთებაა საჭიროო... უდიდეს უმრავლესობას მის მიმართ უსაზღვრო ნდობა და პატივისცემა ჰქონდა.

— სტალინი თავის სადღეგრძელოში რუს ხალხზე ასე ამბობს, სხვა ხალხი იტყოდა, არ გვჭირდება ასეთი ხელისუფლებაო. ესმოდა თუ არა თავისი პასუხისმგებლობა წარუმატებლობის შემთხვევაში?

— როცა 1941 წელს ომის დასაწყისში ჩვენ გერმანიაში ვიყავით, ზოგიერთები ამბობდნენ: „ძლიერი დარტყმით მტერს თავის მიწაზეც ნაკლები სისხლით, ნაკლები დანაკარგით გავანადგურებთო, გვარწმუნებდნენ, სინამდვილეში კი...“ ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა საშინლად ღიზიანდებოდა ამ სიტყვებზე და პირდაპირ ემუქრებოდნენ ამის მთქმელს და ზოგჯერ სცემდნენ კიდევაც.

არ ვიცი, რას ფიქრობდა სტალინი, მე მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ რაღაც წარუმატებლობას ითმენ, ესე იგი, გრძნობ შენს პასუხისმგებლობას. მაგრამ სტალინმა ხომ შეძლო, ხომ მოახერხა ქვეყნის მობილიზება. რა თქმა უნდა, სოციალისტური სისტემის, ჩვენი დიდი ხალხის დიდი ძალისხმევითა და, ცხადია, სტალინის კოლოსალური პირადი ნიჭიერებით, თავისი უნარით, თავისი შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობითა და ხელმძღვანელობის დიდი ნიჭით. კიდევ იმითაც, რომ სიტყვა და საქმე არასოდეს სცილდებოდა ერთმანეთს, რასაც იტყოდა, სრულდებოდა, ვისაც რას დაჰპირდებოდა, აუცილებლად შეასრულებდა, არავის მისცემდა საშუალებას, ბზარი გასჩენოდა იმ ნდობას, რასაც მის მიმართ განიცდიდნენ. თითოეულ წვრილმანებამდე ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებდა, ყველაფერს წინასწარ აწონ-დაწონიდა. ამოცანას რომ დაისახავდა, მის შესასრულებლად თუ საჭირო იყო, ზუსტსა და საჭირო რჩევასაც იძლეოდა. ეს მისი ხასიათი, მისი დამახასიათებელი თვისება იყო... მხოლოდ კი არ დაუსახო ამოცანა, არამედ აუცილებლობის შემთხვევაში დეტალურად უნდა აუხსნა, როგორ შეასრულოს, როგორ გადაჭრას ეს ამოცანა უკეთესად. იცოდა, რისი შესრულება შეიძლებოდა და რისი არა.

ავიღოთ ისეთი საყურადღებო საქმე, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყო გეგმებისა და ბრძანებების საიდუმლოდ დაცვა. მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსი — მარშალი იაკოვლევი ყვება, როგორ ხდებოდა ეს: „მუშაობენ, რაღაცას განიხილავენ, იქვე საფარს იქით სხედან მდივნები, რომლებიც ინტონაციით ხვდებიან, რა არის მსჯელობის საგანი, რა ოპერატიული დირექტივებია და პარალელურად აფორმებენ დოკუმენტებს, ისე რომ სხდომის დამთავრების შემდეგ დოკუმენტები უკვე მზად იყო. მზა დოკუმენტებს წარუდგენდნენ სტალინს, სტალინი ფანქრით გააკეთებდა აუცილებელ შენიშვნებს, გაასწორებდა, დაწერდა მასალის გაგზავნისთვის საჭირო ანგარიშებს და გაამრავლებდნენ დოკუმენტს საჭირო რაოდენობის ეგზემპლარებად, რის შემდეგაც განხილვაში მონაწილე შემსრულებლები დაუბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ სამუშაო ადგილებს. იქ უკვე ელოდებოდათ უშიშროების ოფიცერი გამზადებული დოკუმენტით (ძალიან ოპერატიულად იმუშავა საიდუმლო ქაღალდების სამსახურმა), ამ დოკუმენტს წარუდგენს შემსრულებელს, შემსრულებელი იმუშავებს მასზე, გააკეთებს საჭირო ამონაწერებს, დოკუმენტის მომტანი ოფიცერი კი დგას და თვალს არ აშორებს. მიმღები გამოართმევს გამზადებულ დოკუმენტს და დააბრუნებს თავის ადგილას, ისე რომ, შემსრულებელს ხელზე მისი არც ერთი ეგზემპლარი არ რჩება, დოკუმენტის ასლის გაკეთების შესაძლებლობა კი სრულიად წარმოუდგენელია...“ ასეთი იყო საიდუმლოს დაცვის უმკაცრესი რეჟიმი, რასაც ომის დროს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

— სტალინს გენერალისიმუსის წოდება მიანიჭეს.

— გენერალისიმუსები ყოველ შემთხვევაში სტალინამდეც იყვნენ, პეტრეს დროს — მენშიკოვი, ესპანეთში ფრანკო, ჩინეთში — ჩან კაი ში, თუმცა ასე არსად და არავის გაუმარჯვია. გენერალისიმუსის წოდების სტატუსი კიდევ უფრო ამაღლდა მას შემდეგ, რაც სტალინს მიენიჭა ეს წოდება, ამიტომაც სტალინი კი არ უნდა ამაყობდეს მისით, არამედ პირიქით.

სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა შეხვედრა.

— შემოღებული იქნა ახალი ორდენები, სამხრეები, გადაიღეს ისტორიული ფილმები პატრიოტულ თემებზე. ითამაშა თუ არა ამან გარკვეული როლი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში? ესმოდა თუ არა სტალინს, რომ გამარჯვებისთვის ხალხის გამხნევებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა?

— ამას სტალინი თანმიმდევრულად მაშინ აკეთებდა, როცა ეს საჭირო იყო, როცა საქმეს ეხმარებოდა ან ვითარება მოითხოვდა და არა წინასწარ. დიახ, შემოღებულ იქნა პერსონალური სამხედრო წოდებები, როგორც 1935, ისე 1940 წელს. გაჩნდა ახალი წოდებები — მაგალითად, გენერლის წოდება — დაფუძნდა გვარდია, შემოღებულ იქნა ახალი სამხრეები, როგორც წოდებებს შორის განმასხვავებელი ნიშანი... ვფიქრობ, არათუ ესმოდა, არამედ თვითონ უკვეთდა ფილმებს, რომლებიც, როგორც ომამდელი, ისე ომის დროინდელი, უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენდა... მეც განვიცდიდი იმ შთაბეჭდილებებს და იმის მოწმეც ვიყავი, როგორ მოქმედებდა ის ჯარისკაცებზე.

ჟუკოვი გამარჯვების აღლუმზე. წითელი მოედანი. 1945 წ.

— შეტევა მართლა მიდიოდა ამ მოწოდებით — სამშობლოსათვის, სტალინისათვის?

— იქ ასეა: შეტევის დროს მხოლოდ დედის გინება და ყვირილია — ეს მტრის მიმართ მუქარაა, რისხვაა. მაგრამ, შეტევის წინ ან შეტევის შემდეგ, დიახ, იყო ასეთი მოწოდებები და სრულიად გულწრფელი... ერთხელ ძალიან მძიმე საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ჯარისკაცებს, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, სამლიტრიანი ბოცით ღვინო გავუგზავნე. ჟენია განუშკინმა, რომელიც მაშინ არტილერისტი-მზვერავი იყო, ხოლო შემდეგ წიგნის გრაფიკის ცნობილი მხატვარი გახდა, ბოცა მოხატა და წააწერა: „ჩინებული სროლისთვის პოლკის მეთაურისაგან...“ ხოლო ჯარისკაცებმა ცარიელ ჭურჭელს ახალი ეტიკეტი მიაწებეს: „ჩვენს პატივცემულ მეთაურს! მზად ვართ, სტალინისთვის ყველა წინააღმდეგობა გადავლახოთ, ბერლინამდე მივიდეთ!... ჩვენ ყველა თქვენ ბრძანებას შევასრულებთ!...“... — ეწერა ეტიკეტზე და ბოლოში ხელი ყველას ჯგუფურად ჰქონდა მოწერილი.

— გრძნობდით, თქვენ — ომის ჯარისკაცები, რომ ქვეყანაც და ქვეყნის ხელმძღვანელობაც თქვენ გვერდითაა?

— სახელმწიფო ერთ მუჭად შეკრულ სამხედრო ბანაკს ჰგავდა და როგორც ომის, ისე შრომის ჯარისკაცები იმ ერთიანი ბანაკის ძლევამოსილი მებრძოლები იყვნენ. ჩვენ ვგრძნობდით, რომ ზურგი ყველაფერს აკეთებდა, რათა ომში ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვყოფილიყავით. ზურგში კი იცოდნენ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებდით გამარჯვებისათვის... ასეა, მტერს მთელი ქვეყანა ებრძოდა, იმაში ეჭვი არასოდეს შეგვპარვია, რომ იქაც და აქაც ყველა თავის საქმეს აკეთებდა, ყველა თავის ადგილას იბრძოდა. ჩვენ ყველანი ბოლომდე ვენდობოდით ჩვენს მთავარსარდალს, რომელმაც იმ დიდ გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

სტალინის დამოკიდებულება რელიგიასთან

„ზავტრა“: — საუბრობდნენ სახლში რელიგიის შესახებ? როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სტალინს რელიგიასთან? ხომ არ აღნიშნავდნენ შობას?

ა.ს: — არა, არც შობას და არც სხვა საეკლესიო დღესასწაულებს არ აღნიშნავდნენ, თუმცა, ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა —„მადლობა ღმერთს“, „ღმერთმა ნუ ქნასო“ — საუბრისას ხშირად იყენებდნენ... თვითონ სტალინსაც —„ღმერთმა ნუ ქნასო“, — ხშირად უთქვამს... ისე კი, ღმერთის შესახებ სტალინისგან ერთი ურიგო სიტყვაც არასოდეს გამიგია... არ ვიცი, 1931 წელი იყო თუ 1932 წელი.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება: ობიდენის მეორე შესახვევში, იმ სკოლის პირდაპირ, სადაც ვასილი სწავლობდა, ტაძარი იყო. ერთხელ, როცა ტაძარში წირვა მიდიოდა, იქვე ახლოს ბიჭები სათამაშო დამბაჩებიდან ისროდნენ. ვასილი ამაში მონაწილეობას არ ღებულობდა, თუმცა მამას მაინც მოუყვა მის შესახებ. მამა ეკითხება: „ასე რატომ იქცეოდნენ, ისინი ხომ მლოცველები არიან, ისინი ხომ ხელს სულაც არ უშლიან სწავლაში, მაშ თქვენ რატომღა უშლით ხელს ლოცვაში? — უთხრა და ახლა ეს ჰკითხა: „გიყვარს ბებია, სცემ ბებიას პატივს?“ „დიახ, ძალიან, ის ხომ შენი დედაა!“ — უპასუხებს ვასილი. „ჰოდა, ბებიაც ლოცულობს“... რატომო?! — ეკითხება ვასილი. „შეიძლება იმიტომ, რომ ბებიამ იცის ის, რაც შენ არ იცი“, — უხსნის სტალინი.

თვითონ სტალინმა კარგად იცოდა რელიგიის საკითხები, ბევრი წიგნი ჰქონდა რელიგიაზე, მათ შორის „რელიგია და რელიგიის ისტორია“. ამ თემაზე თვითონაც წერდა შრომებს... მაგალითად, თავის ერთ სტატიაში — „ტაძრების ნგრევის წინააღმდეგ“ — წერს, ტაძრები ჩვენი სამშობლოს კულტურის ძეგლებია, მათი დანგრევა იგივეა, კულტურის ძეგლები დაანგრიოო. ხოლო წერილში —„სარწმუნოების დევნის აკრძალვის შესახებ“, — აღნიშნავს, რომ უნდა შეწყდეს ადამიანების დევნა რწმენის გამო, ხოლო ღვთისმსახურები, რომელთაც სისხლის სამართლის დანაშაული არა აქვთ ჩადენილი, უნდა გათავისუფლდნენ ციხეებიდან...

სტალინის დაკრძალვას მე თავიდან ბოლომდე ვესწრებოდი, გამოსამშვიდობებლად მოსულ ადამიანებს შორის არცთუ ცოტა ღვთისმსახური იყო — ჩაუვლიდნენ კუბოს საეკლესიო სამოსში გამოწყობილები და პირჯვარს იწერდნენ.

დასაწყისი იხ. № 65-140, 142, 143, 146, 150

შემდეგ ნომრებში

ი.ე. ჩადაევის მოგონებები სტალინზე

(ჩაწერილია გ.ა.კუმანევის მიერ)

გ.ა. კუმანევის წინასიტყვა

თუ ქალი ქმარს არ ემორჩილება...

პაკისტანის ისლამური იდეოლოგიის საბჭომ კანონპროექტი შეიმუშავა, რომლის თანახმად ქმრებს, დისციპლინარულ სასჯელად „ცოლების მსუბუქად ცემის“ უფლება ექნებათ.

„ქმარს უფლება უნდა ჰქონდეს ცოლი მსუბუქად ცემოს იმ შემთხვევაში, თუკი იგი არ ასრულებს მის განკარგულებებს ანდა უარს ამბობს მისი სურვილისდა შესაბამისად ჩაცმაზე“, ასევე „თუკი იგი არ ატარებს ჰიჯაბს, უცხო ხალხთან ურთიერთობს, გარეშე პირთა გასაგონად ხმამაღლა ლაპარაკობს და ქმრის დაუკითხავად ფულად დახმარებას უწევს სხვებს“, იუწყება პაკისტანის გამოცემა „ექსპრეს ტრიბიუნი“.

სილამაზის... საცობი

ჩვენს დრომდე ბევრმა ისეთი ნივთის შესახებ ცნობამ მოაღწია, რომელთა მოხმარება თანამედროვე ადამიანს აზრადაც არ მოუვა. არადა, ასეთი ნივთებიც კაცობრიობის მატერიალური კულტურის ნაწილია და მათი სრულიად დავიწყება არა თუ უსამართლობა, არამედ არამართებულიც იქნებოდა.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია „პლამპერი“, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ფუმფულაკი“. ესაა ბამბეულით გადაკრული საცობის ერთგვარი პატარა ბალიში, რომელსაც მე-17 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე ევროპაში... კბილებჩაცვენილები იდებდნენ, რათა მათ ლოყებს თავისებური „ოპტიმისტური“ დაბერილობა ჰქონოდა (!).

ღიმილის ფასი

„იყავით გულმხიარული, ბედნიერი, ნუ იდარდებთ და ნუ გაღიზიანდებით!“ — ვერაფერს იტყვი, კარგი რჩევაა, ოღონდ არავინ იცის როგორ უნდა შევასრულოთ ის ჩვენს ყოველდღიურ დაძაბულ, ათასნაირი სტრესით აღსავსე ცხოვრებაში.

არადა, ამ „რეცეპტს“ საფუძვლად მყარი სამეცნიერო საფუძველი აქვს. ამერიკის შეერთებული შტატების დიუკის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი რედფორდ უილიამსი დღეგრძელობის პრობლემას მეოთხედი საუკუნის მანძილზე იკვლევდა. მართალია, მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოს მან ვერ მიაგნო, სამაგიეროდ, დაადგინა, რომ ავ, ჯუჯღუნა, ყიამყრალ და მუდამ რაღაცით უკმაყოფილო ხალხს ორმოცდაათ წლამდე ასაკამდე მიღწევის ხუთჯერ ნაკლები შანსი აქვთ გულღია და მხიარულ ადამიანებთან შედარებით.

დოქტორ უილიამსის გამოკვლევებით, ასეთი ადამიანების სიკვდილიანობის მიზეზი ხშირად ჰიპერტონია და გულის უკმარისობაა. ამიტომაც, მისი რჩევაა — უფრო ხშირად ეცადეთ ტყუილ-უბრალოდ გუნება არც თავად გაიფუჭოთ, არც გარშემო მყოფთ, და უფრო ხშირად გაუღიმეთ მათ!

„გამოზომილად“ ძილის სიკეთე

სადილის შემდეგ ძილი სასარგებლო ყოფილა მხოლოდ მაშინ, როცა ნახევარ საათზე მეტხანს არ გრძელდება.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ხანგრძლივი სიეს-

ტის მოყვარულთ აწეული აქვთ არტერიული წნევა და სისხლში ქოლესტერინის შემცველობა, დარღვეული აქვთ ნივთიერებათა ცვლა. საქმე ის არის, რომ ადამიანი 40 წუთში სრულფასოვნად იძინებს, მისი შეწყვეტა კი ორგანიზმზე უარყოფითად მოქმედებს.

მამობის ასაკის საფრთხეები

დაკვირვებათა შედეგად გაირკვა, რომ მომავალი ბავშვის ჯანმრთელობისთვის მამის ასაკი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც დედისა.

მეცნიერებმა კვლევის შედეგად დაადგინეს, რომ ის ბავშვები, რომელთა მამები, მათი დაბადების დროისთვის, 40 წელს იყვნენ გადაცილებულნი, ახალგაზრდა მამების შვილებთან შედარებით აუტიზმით ექვსჯერ უფრო ხშირად იყვნენ დაავადებულები. აღმოჩნდა, რომ მამების მოწიფული ასაკი შიზოფრენიისა და სხვა ფსიქიკური გადახრების განვითარებას პროვოცირებს.

მეხსიერების... სტომატოლოგია

სამი ათას ხანდაზმულ მოხალისეზე დაკვირვების შედეგად, ბრიტანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ადამიანის მეხსიერება... კბილების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ინტელექტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი შედეგი დაუდგინდა იმათ, ვისაც ყველა კბილი საღი ჰქონდა. ერთი კბილის დანაკლისი კი დამახსოვრების კოეფიციენტს 10 პროცენტით ამცირებს.

საქმე №1/59-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 5 აგვისტო 2016 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „სმარტ კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ვაჟა ბიძინაშვილი**

დავის საგანი: **სესხის თანხის გადახდის დაკისრება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2016 წლის 15 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს ,,სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 15 აპრილს შპს ,,სმარტ კრედიტსა” და ვაჟა ბიძინაშვილს შორის დაიდო №041401219 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს ,,სმარტ კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 10310 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 15.04.2015წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა ვადაგადაცილებული გრაფიკით შემოსატანი თანხის 1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართებზე, თუმცა კორესპონდენციის რამოდენიმე მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა, ადრესატი რეგისტრაციის მისამართზე არ იმყოფება (მისმა ოჯახის წევრმა – შვილმა, უარი განაცხადა გზავნილის ჩაბარებაზე).

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ იმყოფება, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილს (პირადი №12001072997) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს ,,სმარტ კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ვაჟა ბიძინაშვილს განემარტოს, რომ:

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, ,,არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო განხილვაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ვაჟა ბიძინაშვილს ეცნობოს, რომ 2016 წლის 16 სექტემბერს 10:00 საათზე შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს ,,სმარტ კრედიტი”-ს სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ვაჟა ბიძინაშვილის მიმართ.

5. ვაჟა ბიძინაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ რიო – 2016

ქართველთა საოლიმპიადო ტაბლო

ჭიდაობა

ულიმლამოდ და უშედეგოდ

რიოს „კარაოკე არენაზე“ ორი დღეა ძალებს ცდიან ქართველი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ფალავნები და ვერც ერთმა მათგანმა ცეცხლი ვერ დაანთო ხალიჩაზე... თუმცა, ცეცხლს ვინ ჩივის, ნაპერწკალიც არსად ჩანდა, თუნდაც იმის შეგრძნება, რომ ოლიმპიურ სარბიელზე გამოდიოდნენ საუკუნო სახელის მოსახვეჭად. მათი ჭიდაობის შემყურეს ისეთი შეგრძნება დაგვეუფლა, თითქოს ვარჯიშისგან დაღლილ ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ, როდის გაუშვებდნენ მწვრთნელები შინ დასასვენებლად. კიდევ კარგი, რომ ასპარეზობის მეორე დღეს, ზურაბ დათუნაშვილის (75 კგ) მსგავსად, პირველივე წრიდან არ გამოვარდნენ. რობერტ ქობლიაშვილმა (85) ერთი შეხვედრა მოიგო – სტარტზე მექსიკელ ალფონსო ანტონიო ლეივა იეპესს სძლია 5:0, მაგრამ მეორე წრეში გერმანელ ევროპის მესამე პრიზიორ დენის კუდლას, მართალია, რის ვაი-ვაგლახით აართვა ქულა, მაგრამ მალევე დაუბრუნა და მერე საპასუხოდ ვერაფერი მოიმოქმედა – ფრე ალემანის სასარგებლოდ. არადა, მანამდე ორი ქულის მოპოვების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან – ძალა არ ეყო, ფანდი ბოლომდე მიეყვანა. მეოთხედფინალში კუდლა რუსთა სახელით მოჭიდავე ქართველ დავით ჩაკვეტაძესთან (იგი ამ წონაში ოლიმპიური ჩემპიონი გახდა) 0:8 დამარცხდა და ქობლიაშვილისთვისაც ოლიმპიადა დამთავრდა.

ერთი წრის შემდეგ მისი ბედი გაიზიარა მძიმეწონოსანმა იაკობ ქაჯაიამ. ჩვენებურმა ასპარეზობა მძიმედ დაიწყო – შემართება აკლდა და ჩოქბჯენში ერთხელაც ვერ დაატრიალა მეტოქეები. პირველ წრეში უსუსტეს ბრაზილიელს – ედუარდ სოგომიანიანს აჯობა 8:0. მეორეში უკრაინელი ოლექსანდრ ჩერნეცკი გაფრთხილებებით უგებდა ქაჯაიას და იმის შიშით, რომ ბოლო გაფრთხილება არ მიეღო, მოუმზადებლად ფანდის გაკეთება სცადა. ჩვენებურმაც ამით ისარგებლა, მეტოქეს დაუხურა ილეთი, ბეჭებზე დააგდო და შებოჭა.

მეოთხედფინალში ქაჯაია 20 წლის რუს სერგეი სემიონოვს დაუპირისპირდა, ვისაც შარშან ახალგაზრდების მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზვიად პატარიძემ იოლად სძლია. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კლასით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ქაჯაიამ მასთან, ფაქტობრივად, ფიზიკურად დათმო ბრძოლა და საბოლოოდ 0:5 წააგო. ნახევარფინალში სემიონოვი კუბელ ორგზის ოლიმპიურ და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ მიგელ ლოპესთან ვერაფერს გახდა და მესამე ქართველმა „კლასიკოსმაც“ უსახელოდ დატოვა „კარაოკე არენა“.

ლაშა დიდია

მძლეოსნობა

საწყის ნიშნულს ფეხი ვერ ააცილა

ქართველ სამხტომელ ლაშა თორღვაიძისთვის ოლიმპიური თამაშები ასპარეზობის პირველ დღესვე დამთავრდა – ჩვენმა სპორტსმენმა სამივე ცდისას საწყის ნიშნულს დააბიჯა ფეხი და, ცხადია, შედეგები არ ჩაეთვალა, რის გამოც იგი ფინალს მიღმა აღმოჩნდა. არადა, მას წლეულს ალმატის საერთაშორისო ტურნირზე ნაჩვენები შედეგი (16,87 მ) რომ გაემეორებინა, 12 საუკეთესოში მოხვდებოდა.

გივი გაგუა

ძალოსნობა

ხელი მოეცარა

რიოს ოლიმპიურ ფიცარნაგზე 20-წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი ჩხეიძემ (105 კგ) „ბ“ ჯგუფში იასპარეზა. პირველად მან 165 კილოგრამი აიტაცა, მერე 170-კილოიანი შტანგა დაიმორჩილა, 173 კილოს კი ვერ გაუმკლავდა. აკვრაში სამწუხაროდ არ გაუმართლა – ჯერ საწყისი წონა (205 კგ) ვერ დაძლია, მერე 208 კილოზე მიიტანა უშედეგო იერიში და საბოლოოდ შეუფასებელი დარჩა.

ლექსო ცინცაძე

კალათბურთი

პლეი-ოფში ასე დაწყვილდნენ

ბრაზილიაში მიმდინარე ოლიმპიადაზე საკალათბურთო ტურნირის ჯგუფური ეტაპი დასრულდა და ნაკრებები პლეი-ოფში დაწყვილდნენ.

B ჯგუფში ესპანეთმა არგენტინა 92:73 დაამარცხა. პირენეელებმა ოთხივე პერიოდში იმარჯვეს და მათ მეტოქეებს მოგების არანაირი შანსი არ ჰქონიათ. მატჩში ყველაზე მეტი – 23 ქულა რუდი ფერნანდესმა ჩააგდო, ხოლო სამხრეთამერიკელთაგან 21 ქულით ლაპროვიტოვა გამოირჩა.

პლეი-ოფში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან:

17 აგვისტო

ავსტრალია – ლიტვა,
ესპანეთი – საფრანგეთი.

18 აგვისტო

აშშ – არგენტინა,
ხორვატეთი – სერბეთი.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ კარატე

ეს ჩვენი მზეჭაბუკია

ახლახან უკრაინის ქალაქ ჩერკასში გაიმართა ევროპის V ჩემპიონატი კარატეში (W-JKA), რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდი. ეს ჩემპიონატი უკრაინის კარატეს ასოციაციის ორგანიზატორობით მოეწყო (პრეზიდენტი ანატოლი ნაუმენკო) და მასში 30 ქვეყნის 1000-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა.

შედეგები:

1. მზეჭაბუკ მახარაძე – I ადგილი.ინდივიდუალური კატა. უფროსი კატეგორია.

II ადგილი. ინდივიდუალური კუმიტე. უფროსი კატეგორია.

– უკრაინაში ევროპის ჩემპიონატზე პირველად მივიღე მონაწილეობა. იგი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, დონეცკის ოლქიდანაც კი იყვნენ ჩამოსული სპორტსმენები. ძლიერი გუნდი ჰყავდათ უკრაინას, აზერბაიჯანს, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, ისრაელს, თურქეთს, ჰოლანდიას, რუსეთს, ლიტვასაც... ასპარეზობისას 4 წრე გავიარე ინდივიდუალურ კატაში. ფინალი დაძაბულიც იყო და რთულიც, საბოლოოდ კი მე მაღალი ქულებით ვაჯობე უკრაინელ, აზერბაიჯანელ, რუს და ლიტველ სპორტსმენებს და გადმომცეს ჩემპიონატის ოქროს მედალი თასით. ევროპის ჩემპიონატზე ეს გამარჯვება ყველამ მომილოცა, მათ შორის უკრაინის კარატეს ასოციაციის პრეზიდენტმა ანატოლი ნაუმენკომ, რომლის ორგანიზებითაც გაიმართა ევროპის ეს ჩემპიონატი. მე ინდივიდუალურ კუმიტეში უფროს კატეგორიაშიც გავედი ტატამზე. სპარინგი შიშველი ხელით მიდიოდა და II ადგილი მოვიპოვე. გამოდის, რომ მე წელს უკვე მესამედ მოვიგე ევროპის ჩემპიონატი. ისევ ვაგრძელებ მომზადებას, წინ მელოდება არაერთი საერთაშორისო ტურნირი, სადაც უკვე მიწვეული ვარ და აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას. – ამბობს **მზეჭაბუკ მახარაძე**, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი, V დანის მფლობელი.

* * *

ამ დღეებშივე სტამბოლში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ტურნირი კარატეში, სადაც 20-მდე ქვეყნის 1000-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდიც

მონაწილეობდა. შეჯიბრება გაიმართა თურქეთის კარატეს ფედერაციის ორგანიზებით და მისი მთავარი მსაჯი იყო მსოფლიოს შოტოკან კარატეს ფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი ჰიტოში კასუია (VIII დანი, იაპონია).

შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ შემდეგი სპორტსმენები:

1. **მზეჭაბუკ მახარაძე** – (ქ.თბილისი), ინდივიდუალური კატა, უფროსები, II ადგილი.
2. **მზეჭაბუკ მახარაძე** – (ქ.თბილისი), ინდივიდუალური კუმიტე, უფროსები, აბსოლუტური წონა, II ადგილი.
3. **გიორგი დარჩიძე** – (ქ.ბათუმი), ინდივიდუალური კუმიტე, 14-15 წელი, - 65 კგ. მესამე ადგილი.
4. **საბა აბუსერიძე** – (ქ.ბათუმი), ინდივიდუალური კუმიტე, 10-11 წელი, - 45 კგ. მესამე ადგილი.

გიორგი შოთაძე

◎ მისი საუკუნე

ფიფას ექს-პრეზიდენტი 100 წლის ასაკში გარდაიცვალა

გარდაიცვალა გამოჩენილი ბრაზილიელი საფეხბურთო მოღვაწე ჟოაო აველანჟი. მან სიცოცხლე არც მეტი, არც ნაკლები 100 წლის ასაკში დაასრულა. ყოფილი მოცურავე ბოლო ერთი თვის განმავლობაში ავადმყოფობდა და უკანასკნელი ამქვეყნიური პერიოდი საავადმყოფოში გაატარა.

სამხრეთამერიკელი მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციას – ფიფას 24 წლის განმავლობაში, კერძოდ 1974 წლის 8 მაისიდან 1998 წლის 8 ივნისამდე ხელმძღვანელობდა, ხოლო 2013 წლამდე ფიფას საპატიო პრეზიდენტი გახლდათ, თუმცა, კორუფციული ბრალდების გამო სამი წლის წინათ მანდატზე უარი თავადვე თქვა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ვარაუდი

შარაპოვა კორტს, შესაძლოა, 2017 წლის იანვარში დაუბრუნდეს

რუსეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შამილ ტარპიშჩევის ვარაუდით, მარია შარაპოვა შესაძლოა კორტს 2017 წლის იანვარში დაუბრუნდეს.

„სექტემბრის თვეში ყველაფერი გადაწყდება. ახლა არ შემიძლია ზუსტად ვთქვა, მაგრამ, შესაძლოა, მარია შარაპოვა კორტს 2017 წლის იანვარში დაუბრუნდეს“ – განაცხადა ტარპიშჩევმა.

შეგახსენებთ, რომ მარია შარაპოვას პრეპარატ მელდონიუმის მიღების გამო ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს 2016 წლის 25 იანვრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე.

კობა კობახიძე

ჯაშუში ქალის ამბავი

„აისის თვალის“ მზის ჩასვენება

მატა ჰარი

მსოფლიო ჯაშუშობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და, ამავდროულად, გამოურჩევლად უიღბლო აგენტი ქალის, ლეგენდარული მატა ჰარის დაბადებიდან 140 წელი შესრულდა.

იგი 1876 წლის 7 აგვისტოს ჰოლანდიის ქალაქ ლეუვარდენში, გერმანელი მექუდის ზელესა და ჰოლანდიელი ქალის ოჯახში დაიბადა და მარგარეტა ჰერტრუდა დაარქვეს. ამ კანის მუქი ფერისა და კუპრივით შავი თმის გოგონას უშრეტი ფანტაზია და მოუსვენარი ბუნება ჰქონდა. ამდენად, აბა რა გასაკვირია, რომ ეს მოუსვენარი ქალიშვილი 18 წლის ასაკში გათხოვდა — მისი მეუღლე ინდონეზიაში, იავის კუნძულზე კოლონიალური ჯარის ოფიცერი გახდა, მაგრამ ოჯახური მშვიდი ცხოვრება მისი ხვედრი არ იყო.

1902 წელს მატა ჰარიმ, ყოველგვარი საარსებო სახსრების გარეშე, თავი პარიზში ამოყო. სათანადო მუსიკალური მონაცემების გარეშე მომღერლობა მას არ შეეძლო, მეძავად გახდომას კი ხელს უშლიდა სიამაყე და უდიდესი კონკურენცია. ამიტომაც, საკუთარ შესაძლებლობათა ფხიზლად აწონ-დაწონის შემდგე, მარგარეტამ სამოღვაწეო ასპარეზად აღმოსავლური ცეკვები აირჩია, რომლებიც იავაზე ყოფნისას ნახა. თუმცა კი ვიდრე აღმოსავლური ცეკვების შესრულებას დაიწყებდა და ჯაშუშობას მიჰყოფდა ხელს, მან ცირკში მოჯირითეობაც მოასწრო.

ინდური სახელი — მატა ჰარი — ანუ „ღვთიური მოცეკვავე ქალი“ მას მაღალი საზოგადოების სალონის მეპატრონემ, ინდოეთის ჩინებულმა მცოდნემ მსიე გრიმემ მოუგონა, რომლის დახმარებით მან ეგზოტიკური ცეკვების შესრულება დაიწყო. მაყურებელთა წინაშე იგი პირველად 1905 წელს გაშიშვლდა და გააოცა მრავლის მნახველი პუბლიკა სხეულის უჩვეულო ვნებიანობით, თუმცა კი ძალიან პატარა მკერდი ჰქონდა!

— მე თქვენთვის კი არ ვიხდი სამოსელს, მე უბრალოდ საკუთარ თავს ასე ვხედავ ამ სამყაროში, — იტყვის ის მოგვიანებით.

— ჩემი სამშობლო შორეულ ინდოეთში, მდინარე მალაბასას ნაპირებზე სათავადო ჯაფატამია, თავად კი ბრამინების უმაღლეს კასტას ვეკუთვნი. მამაჩემი რაჯა იყო, დედა კი ტაძრის მოცეკვავე, — ასე ყვებოდა ავანტიურისტი თავის „ბიოგრაფიას“. — დაბადებისთანავე ქურუმებმა ოქროს განსაბანელში ჩამასვენეს და „მატა ჰარი“ დამარქვეს, რაც სანსკრიტულად „აისის თვალს“ ნიშნავს.

„აისის თვალი“ თაყვანისმცემლებს უმარტივესი ბანალური სისულელეებით „აბოლებდა“, მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პარიზის მრავლის მნახველი საზოგადოება ყველაფერს „ჭამდა“. თანაც ეს იმის მიუხედავად ხდებოდა, რომ მატა ჰარი „ისე რა“ მოცეკვავე იყო — ცნობილმა ბალეტმაისტერმა სერგეი დიაგილევმა თავის დროზე იგი თავის დასში „რუსული სეზონები“ არ მიიღო.

ამასობაში კი ფაქტი ფაქტად რჩება: მაყურებელი მისით აღფრთოვანებული იყო, თაყვანისმცემელთა გულებს იგი თითქმის ცხოველური ეროტიზმით და მოჩვენებითი მიუკარებლობით იპყრობდა.

„მატა ჰარი“ შიშველი ცეკვავს, მაგრამ იმის თქმა, რომ იგი უხამსია, მართებული არ იქნება“, — წერდა გაზეთი „ეკო დე პარი“. ისე კი სამართლიანობა მოითხოვს, ისიც ითქვას, რომ სცენაზე მატა ჰარი ბოლომდე

მატა ჰარის სიკვდილით დასჯა

არასდროს იხდიდა. სამაგიეროდ ამას დიდი ხალისით აკეთებდა საჯარო გამოსვლების შემდეგ და თითქმის ათი წლით ევროპის ყველაზე ძვირიან მეძავად იქცა. სწორედ იმხანად იყო, რომ ბერლინში, ჯერაც ბოლომდე გაურკვეველ ვითარებაში, იგი გერმანიის დაზვერვის აგენტი გახდა ფსევდონიმით „HO-21“, სადაც ორი პირველი ასო „Holland“-ს ნიშნავდა.

პირველი მსოლფიო ომის დროს, 1916 წელს, პარიზში მატა ჰარიმ რუსეთის საექსპედიციო კორპუსის შტაბის კაპიტანი ვადიმ მასლოვი გაიცნო და თავისი პროფსიისთვის ყოვლად მიუტევებელი შეცდომა მოუვიდა — მას შვილისტოლა ახალგაზრდა შეუყვარდა. მალევე მასლოვმა თვალი დაკარგა, ის იპრიტით მოიწამლა და ფრონტის ჰოსპიტალში მკურნალობდა. იქ ჩასასვლელად საჭირო იყო საშვი, რომლის მისაღებად მატა იძულებული გახდა, საფრანგეთის სამხედრო დაზვერვის გენერალური შტაბის მეორე ბიუროსთან თანამშრომლობას დათანხმებოდა. ასე გახდა იგი ორმაგი აგენტი.

პასპორტი მას ერთმანეთთან მეომარ ანანტისა და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი გადაადგილების საშუალებას აძლევდა. საფრანგეთის დაზვერვამ „აისის თვალს“ მადრიდში გერმანიის საელჩოს თანამშრომელთა დამუშავება დაავალა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

საელჩოს სამხედრო ატაშე მატა ჰარიმ უმალ საყვარლადაც გაიხადა, მაგრამ როცა ქალმა სამხედრო ცნობებისადმი ჩვეულებრივზე მეტი დაინტერესება გამოიჩინა, ვერმახტის მაიორმა ეჭვი აიღო და ბერლინში დაშიფრული რადიოგრამა გაგზავნა, სადაც H0-21-ის ორმაგი აგენტობის ეჭვი გამოთქვა. ეს რადიოგრამა კი ხელში ჩაუვარდათ ფრანგებს...

მატა ჰარის სასამართლო 1917 წლის ივნისში გაიმართა, თუმცა კი ბრალდებას მის წინააღმდეგ სამხილი დიდად არ ჰქონდა: რადიოგრამაში მისი სახელი ნახსენები არ იყო, მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ მანამდე დიდი შეტევის დროს საფრანგეთის არმიამ უზარმაზარი ზიანი მიიღო — დაიღუპა 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ამაზე პასუხი ვიღაცას უნდა ეგო! ამიტომაც 1917 წლის 15 ოქტომბერს იგი დახვრიტეს.

მას შემდეგ განვლილმა საუკუნეზე მეტმა დრომ მას ლამის წამებულის შარავანდედი მოუტანა — ბოლო დრომდე ბევრი ფრანგი მკვლევარი დიდ ეჭვს გამოთქვამდა იმის თაობაზე, მართლა იყო თუ არა იგი გერმანელთა ჯაშუში. ამ კამათს, ყველასთვის მოულოდნელად, ბოლო... მოსკოვიდან მოსულმა ცნობამ მოუღო.

მატა ჰარის ისტორიის ეს ნაწილი 1945 წელს დაიწყო: საბჭოთა კონტრდაზვერვას ხელთ ჩაუვარდა გადამდგარი გერმანელი პოლკოვნიკი, 72 წლის ვალტერ ნიკოლაი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის სამხედრო დაზვერვას ხელმძღვანელობდა. იგი ტყვეობაში გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა მისი დაკითხვების ოქმები, რომლებიც მხოლოდ 2000 წელს განასაიდუმლოეს.

ჰოდა, ბებერმა ჯაშუშმა დაადასტურა, რომ მატა ჰარი ნამდვილად იყო გერმანიის დაზვერვის აგენტი! ამასთან, მას ისიც უთქვამს, რომ ის, რაშიც ფრანგებმა მას ბრალი დასდეს, უმეტესად ფანტაზიის ნაყოფია. სინამდვილეში კი მისი სიკვდილი ტყუილი მსხვერპლი იყოო.

საგულისხმოა, რომ მატა ჰარის საქმეს მთლიანად გაისად განასაიდუმლობენ.

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

სანთელი

შვილი ზურაბ გამეზარდაშვილი, შვილიშვილები ეკა, დავით გამეზარდაშვილები, მარიკა, ანუკა გიორგობიანები, შვილთაშვილები ზურაბ გამეზარდაშვილი, სოლომონ, ლევან მაჭავარიანები, ვახტანგ, დავით ლებანიძეები, ნუცა, ელენე ნინუები, რძლები მზია წულუკიძე, ირინა გამეზარდაშვილი, ლიანა ჯახუტაშვილი, მზია კაციტაძე, სიძეები თამაზ გიორგობიანი, ზაალ მაჭავარიანი, ბაქარ ლებანიძე, ირაკლი ნინუა, ძმისშვილები თენგიზ, რომან გოლიაძეები, მულიშვილები მარინა, ლადო ბარბაქაძეები, რუსუდან, სიმონ ბიწაძეები, მარინა მოდებაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიდა გამეზარდაშვილი

პანაშვიდი 17 აგვისტოს, დაკრძალვა 18 აგვისტოს, 14 საათზე
მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ.№8, სადარბაზო 4, სართული 5.

ზუგდიდი საბედისწეროდ განაცხადა!

ვის მისცემენ ხმას დევნილები?

მაინც, ვის მისცემენ ხმას ზუგდიდის რაიონში მცხოვრები დევნილები?

ეს საკითხი ზუგდიდში საპარლამენტო არჩევნებში ყველა მონაწილე პოლიტიკურ პარტიას და მაჟორიტარული დეპუტატობის კანდიდატებს აღელვებთ. ორმოცი ათასამდე საარჩევნო ხმას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს გამარჯვებისთვის და სწორედ ზუგდიდში ის პარტია იმარჯვებდა, ვისაც დევნილები უჭერდნენ მხარს.

დევნილებმა რატომღაც ძალიან შეიყვარეს მიხეილ საკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“. მიუხედავად მათდამი გაკეთებული მრავალი სიკეთისა „ქართულმა ოცნებამ“ ვერაფრით ვერ მოიგო მათი გული და ვერ დაავიწყა „ნაციონალური მოძრაობა“. მიზეზი კი დაუდგენელია და ვერაფრით ვერ იქნა ამოხსნილი ის საიდუმლოებანი, თუ რატომ ეტრფიან მიშასა და „ნაცებს“, თუმცა, რიგით დევნილებთან რა გვინდა და რას ვერჩით, როცა სახელმწიფო საბიუჯეტო სტრუქტურის — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობის სამოცამდე თანამშრომელთა უმეტესობა, როგორც 13 წლის წინ, ახლაც მიშასა და ნაცების მიმდევრები და მხარდამჭერები არიან. მიშას დროიდან დღემდე იქ არანაირი ცვლილებები არ განხორციელებულა. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ბევრიც ითქვა, მაგრამ განმკითხავი არავინაა.

შეიძლება ითქვას, რომ ძალიან გაუმართლათ დევნილებს მას შემდეგ, რაც ქალბატონმა სანდრა რულოვსმა გადაწყვიტა, კენჭი იყაროს ზუგდიდის რაიონში. ზუგდიდი ორი მაჟორიტარით იქნება წარმოდგენილი მომავალ პარლამენტში და ქალბატონმა სანდრამ ქალაქს რაიონი, ანუ სოფლები არჩია, სადაც ზუგდიდის რაიონის გამგებელს და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს „ქართული ოცნებიდან“ ედიშერ თოლორაიას ალტერნატივა არ გააჩნდა. სანდრა რულოვსის გამოჩენამ კი საგონებელში ჩააგდო, როგორც ედიშერ თოლორაია, ისე „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებიც.

„ქართული ოცნების“ ზუგდიდის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარეს, ბატონ ლაშა გვასალიას ურთულესი მოვალეობის შესრულება უწევს, როგორღაც დევნილები სწორ გზაზე დააყენოს, მაგრამ ამისთვის მას არანაირი დახმარება ზუგდიდში განთავსებულ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობისგან არ გააჩნია. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებას მართებს მისდამი დაქვემდებარებულ აფხაზეთის სტრუქტურებში ღრმად ჩაიხედოს, თორემ მერე „გვიან იქნება თითზე კბენანი“.

ლადო ძირია

ტრაგედია სამტრედიაში

სამტრედიაში, რიონის ხიდთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოყვა.

როგორც მედიანიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გარდაცვლილია 3 ადამიანი.

უწყების ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მე–7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

პოლონელი ჟურნალისტები საქართველოში

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით და უნგრული ავიაკომპანია "Wizz Air" ორგანიზებით, პოლონელი ჟურნალისტები საქართველოს ესტუმრნენ. პრესტურის ფარგლებში ბეჭდური მედიის წარმომადგენლებმა თბილისი, მცხეთა, უფლისციხე, წყალტუბო, ქუთაისი, სამეგრელო და სვანეთი მოინახულეს. პოლონელი ჟურნალისტები საქართველოს შესახებ სტატიებს მოამზადებენ. მასალები გავრცელდება „Wizz Tours"-ის ბროშურებში, რომელიც ავიაკომპანია „Wizz Air"-ის მიერ შექმნილი ახალი პროდუქტია. „Wizz Tours" მომხმარებელს სთავაზობს ავიაბილეთების და სასტუმროების პაკეტებს. პრესტურის მიზანი აღმოსავლეთ ევროპის ბაზარზე საქართველოს ტურისტული ცნობადობის ამაღლებაა, მათ შორის უნგრეთში, პოლონეთსა და რუმინეთში.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
სულხან-საბას ქ. №3.
293-13-34; 599 797679

◎ ანეკდოტები

სასარგებლო რჩევა ტროპიკულ ქვეყნებში დასასვენებლად წასულ თანამემამულეებს: „ოკეანეში ზვიგენთან შეხვედრისგან თავის არიდება ძალიან ადვილია. როგორც კი ავის მომასწავებელი მუსიკის ხმას გაიგონებთ, მაშინვე წყლიდან ნაპირზე ამოდით!

* * *

ქართული ლიტერატურის გამოცდაზე:

— „ცისფერყანწელთა" შესახებ რას იტყვით, ყმაწვილო? შეგიძლიათ მათი ერთმანეთისგან გარჩევა?

— კი, პატივცემულო, მაგას რა უნდა! — გახარებული ამბობს სტუდენტი.

— აბა, ფოტოები მაჩვენეთ!..

* * *

— **თამბაძეს** რომ არ ეწევით, ეს ძალიან კარგია, — ეუბნება ექიმი პაციენტს. — ჯანმრთელობას უფრთხილდებით?

— არა, ექიმო, არყის ფულს ვაგროვებ!

* * *

წლების მატებასთან ერთად, კაცს, ფაქტობრივად, ყველაფერი ტკივდება. ჰოდა, მაშინ მხოლოდ ერთი სურვილი გეუფლება, რომ ასე რაც შეიძლება დიდ ხანს გაგრძელდეს.

* * *

თუკი რაღაცა გინდა, მაგრამ თავადაც არ იცი რა, ამის დადგენა ცოლს სთხოვე. და, გვერწმუნე, მეგობარო, რომ დიდად გაოცებული დარჩები, როცა გაიგებ, რომ ერთი სული გაქვს როდის გადმოვა სიდედრი შენთან მუდმივად საცხოვრებლად, რომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტე ბინაში რემონტის გაკეთება და მეულლისთვის ახალი ქურქის ყიდვა, თანაც დიდი ხანია, დროა დიეტაზე დაჯდე და უსაქმურ ძმაკაცებთან ჯოკერის თამაშს თავი დაანებო!

* * *

— **სად ხარ ბიჭო, ჭიჭიკია, სად დეიკარგე?**

— სადა და ერთი კვირის წინ საცოლის ოჯახობა გავიცანი.

— მერე, რავა შეგხვდნენ მომავალი ნათესავები?

— გადასარევად! მამამისმა შვილივით ჩამიხუტა ისე, ბოლოს საჯდომი ქამრითაც იმნაირად ამიჭრელდა, ხუთი დღეა ან ფეხზე ვდგევარ, ან მუცელზე ვწევარ!

სიცოცხლის საფუძველი

რატომაა, რომ დედამიწაზე სიცოცხლის საფუძველი ნახშირბადია? მეცნიერები ამბობენ, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ის ყველაზე მეტ ქიმიურ შენაერთს იძლევა.



ცნობილია 10 მილიონი ორგანული (ანუ ნახშირბადზე დაფუძნებული) და მხოლოდ 100 ათასი არაორგანული მოლეკულა. თანაც ორგანულ მოლეკულებს, ატომების ერთნაირი ნაკრების პირობებში, უამრავი სხვადასხვა კონფიგურაციის მიღების უნარი აქვს.

ეს უზარმაზარი მრავალფეროვნება ევოლუციური შერჩევისთვის მყარ საფუძველს ჰქმნის: ყოველთვის შეიძლება მოიძებნოს ისეთი მოლეკულა, რომელიც ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებლად უკეთ გამოდგება და, ამგვარად, ცოცხალი (ან ბიოქიმიური) სისტემის რეპლიკაციის შანსებს გაზრდის.

მითი „შიმშილის" ომებზე

ლონდონის **უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოიანგარიშეს, რომ დედამიწაზე მოსახლეობის უპრეცედენტო ზრდის შედეგად და სურსათის დეფიციტის გამო, ახლო მომავალში კაცობრიობას კოლაფსი ელის.**

30 წლის შემდეგ კვების პროდუქტების უკმარისობა დღესდღეობით „მაძღარ" განვითარებულ ქვეყნებშიც იჩენს თავს, რაც ომების მიზეზი გახდება.

ეს გაანგარიშება მცდარ მოდელზე აგებულ შესანიშნებლად მოგონილ ამბავს ჰგავს, — არ ეთანხმება ბრიტანელი კოლეგების დასკვნას სისტემური პროგნოზირებისა და მასობრივი ყოფაქცევის ფსიქოლოგიის სპეციალისტი აკოფ ნაზარეტიანი. — დედამიწაზე მოსახლეობა დიდი ხანია, უპრეცედენტოდ აღარ მატულობს, ამის პიკი მე-20 საუკუნის 80-იან წლებში იყო. თანაც, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საკვების დამზადების ტექნოლოგიები წლიდან წლამდე იხვეწება. ბუნებრივია, შეიძლება ვიკამათოთ იმის თაობაზე, თუ რამდენად უარესია „ხელოვნური" საკვები „ტრადიციულზე", მაგრამ მაშინ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სულ რაღაც 200 წლის წინათ, ევროპელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ამჟამინდელზე ოთხჯერ ნაკლები იყო, თუმცა კი ისინი მხოლოდ ნატურალურ საკვებს მოიხმარდნენ.

სამხედრო სწავლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე

რუსეთმა ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე მასშტაბური სამხედრო სწავლება დაიწყო. რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის, სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურის ცნობით, ერთდროულად შვიდ პოლიგონზე დაწყებულ სწავლებაში ოლქის სარაკეტო და საარტილერიო ჯარების 5 000-ზე მეტი სამხედრო მონაწილეობს. სწავლებაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე, დისლოცირებულ სამხედროებთან ერთად მონაწილეობენ ჯარისკაცები ჩრდილოეთ კავკასიიდან. სწავლება 16 სექტემბრამდე გაგრძელდება.

აჭარაში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღეს

ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1970 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ა. ე., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და ნაქირავები ბინის ჩხრეკისას 48 აბი „სუბოქსინი" ამოიღეს, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, ბუპრენორფინს შეიცავს.

◎ დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის" 16 აგვისტოს ნომრის მე-15 გვერდზე დაბეჭდილი წერილის „სახელოვნად განვლილი ცხოვრება" პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „დიდი და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, საინჟინრო აკადემიის წევრმა, აკადემიკოსმა ოთარ სევერიანის ძე თადუმაძემ".

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.335; ევრო - 2.609;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.016;
100 რუბლი - 3.627; თურქული ლირა - 0.790;
აზერბაიჯანული მანათი - 1.436;
1000 სომხური დრამი - 4.903.

ამინდი 17 აგვისტოსთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +18,	დღე +36
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +31
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე +14,	დღე +33
თბილისი:	ღამე +21,	დღე +35

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE